ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გიორგი ქადაგიძე პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს

გვ.6



5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ხუთშაბათი, 7 მარტი, 2019 №55 (8009) ფასი: 60 თეთრი

# გიორგი გახარია: „წერილი გინდათ თუ სიხარული?“

## პროკურატურამ ხაზარაძისთვის მიწერილი წერილის ფოტო გამოაქვეყნა

გვ.2





## გუბაზ სანიკიძე: „არ დათმობს ბიძინა? მიიღებს რევოლუციას და ციხეში წასვლა მოუწევს“



გვ.3

„კალაძე და ღარიბაშვილი დასანახად ვერ იტანდნენ ერთმანეთს, ახლაც ნაჯახებით დაერევიან“







## „მოსკოვი ივანიშვილს ემუქრება“

პაატა დავითაია: „საქართველო რუსულ სამხედრო ბაზებს დღეს უფასოდ აწვდის“

გვ.3

## ნუკრი ქანთარია: „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება კარგი ამბავია“

გვ.4



**სამართალი** გვ.7

სერგო მეთოფიშვილი: „ბესელიასთვის პირსისხლიანი ახლა გავხდი? ლევან გოგიჩაიშვილს ადამიანის დაჭრა ჯიბეში ჩაუდეს?“





ეკა ბესელია: მეთოფიშვილი სამუშაო ჯგუფში ერთად მუშაობის დროსაც პირსისხლიანი მოსამართლე იყო



ყალბი 100 და 200 ლარიანების გასაღებისთვის 3 პირი დააკავეს

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 თამარ ჩხეიძე: „ღარიბაშვილი აგრესიის საქადაგებლად და პარტიის დაშლის საპასუხოდ დააბრუნეს“

5 რამაზ საყვარელიძე: „ოცნება“ ძველებად და ახლებად უნდა გაიყოს“

6 დავით ლორთქიფანიძე: „ღარიბაშვილი პოლიტიკაში მოვიდა, როგორც ოქროს სათადარიგო მოთამაშე“

8 რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე სტალინი 70%-ს მიიღებდა, პუტინი — 25%-ს

# გიორგი გახარია: „წერილი გინდათ თუ სიხარული?“

შორენა მარსაგიშვილი

**შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას ეპისტოლემ ყველა რეკორდი მოხსნა. მამუკა ხაზარაძისთვის მიწერილი მისი ბარათის მნიშვნელობა სანტიაგო ბერნაბეუზე რეალის გაპარტახებამ და „ოცნებაში“ ღარიბაშვილის დაბრუნებამაც კი ვერ გადაფარა. თავად გახარია უსტარის დაწერის ფაქტს უარყოფს და ცდილობს, რომ ამ ყველაფერს იუმორით შეხედოს. ჟურნალისტებმა ამ თემაზე მასთან გასაუბრება გუშინ, 6 მარტსაც სცადა.**

– თქვენ წერილი გინდათ თუ სიხარული, – ჩაეკითხა გახარია მედიას და თან ჩვილი ბავშვის უცოდველი ღიმილით გაიღიმა.

სანამ გახარია იბადრებოდა, საგამოძიებო უწყებამ ის წერილი გამოაქვეყნა, რომელიც მათ ხაზარაძემ მიუტანა და რომელზეც ამბობს, რომ შს მინისტრმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მისწერა.

თიბისი ბანკის დამფუძნებელი ამბობს, რომ ეს წერილის ასლია, ხოლო წერილის ორიგინალი, მისივე თქმით, ლონდონში ექსპერტიზაზეა გაგზავნილი.

გახარიას ეპისტოლედ შერაცხულ წერილში კი შემდეგი წერია:

„დადასტურებულად ვიცით, რომ გვებრძვით და აქ საქმე არ ეხება მხოლოდ ფინანსებს;

ჩვენ ვთქვით, რომ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, თუმცა თქვენი მხრიდან გრძელდება დესტრუქციული ქმედებები.

ყველანაირი წინაპირობის გარეშე:

1. უახლოეს 5 დღეში ტვ პირველი უნდა დაჯდეს ტვ იმედის ტრენდზე, გადავიდეს მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე (ეს უნდა დავინახოთ არხის სარედაქციო პოლიტიკიდან).

2. მ.ხ.-მ უნდა გააკეთოს ოფიციალური განცხადება, რომ მისთვის მიუღებელია ნაციონალური მოძრაობის რევანში. ქართულ ბიზნესს კარგად ახსოვს, როგორ ექცეოდნენ მას ნაციონალური მოძრაობის პირობებში და რომ ამის გამეორება მიუღებელია. მან უნდა მოუწოდოს ბიზნესმენებს, მათ, ვისაც მსგავსი პოზიცია აქვთ, გაერთიანდნენ და ერთობლივად იმოქმედონ (შემდეგ უკვე მისი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი).

3. არტარეას უნდა დაეტყოს ობიექტურობის მაღალი ხარისხი.

ამ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ ვაწარმოოთ ჯანსაღი მოლაპარაკებები ყველანაირი წინაპირობის გარეშე;

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენ ხელთ არსებულ სამართლებრივ და ობიექტურ საშუალებას და გავაკეთებთ ამას საჯაროდ შიდა და საერთაშორისო მომხმარებლებისთვის.“

წერილის ასლის ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან ერთად, საგამოძიებო უწყებამ მცირეოდენი განმარტებებიც გააკეთა.

მთავარ პროკურატურაში ჩივიან, რომ თიბისი ბანკის დამფუძნებელმა სრულყოფილად არ ითანამშრომლა გამოძიებასთან.

ჟურნალისტების კითხვაზე, დაკითხავენ თუ არა შს მინისტრ გიორგი გახარიას, საქმის პროკურორი ამბობს:

– გამოძიება გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ჩაატაროს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება საქმეზე ობიექტური სურათის შესაქმნელად, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა ჩვენ გვაქვს ე.წ დოკუმენტი, რომელსაც არანაირი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი არ აქვს, იგი არის ასლი და, მით უმეტეს, ბატონი ხაზარაძე არ ასახელებს შუამავალს, ჩვენ მოკლებული ვართ რაიმე მოქმედების შესაძლებლობას.



## პროკურატურამ ხაზარაძისთვის მიწერილი წერილის ფოტო გამოაქვეყნა

წერილთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა ტვ პირველის დამფუძნებელი ვახტანგ წერეთელი.

– გამოქვეყნებული წერილის შინაარსი ტვ პირველის მხრიდან აღქმულია, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არხის გაკონტროლების სურვილი, რადგან 11 წლის წინანდელ საქმეში, რომლითაც ხაზარაძეს დაუპირისპირდნენ, მოგეხსენებათ, ჩემი კომპანიები და ინიციალებიც ფიგურირებს.

მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სწორედ ამის გამო შეიძლება მოეთხოვათ ხაზარაძისთვის გადმოეცა ჩვენთვის გზავნილი „ტვ პირველის“ სარედაქციო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

ტვ პირველის 100%-იანი წილის მფლობელი ვარ მე, ვახტანგ წერეთელი. საზოგადოებას კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა, რომ ტვ პირველი მხოლოდ საკუთარი შემოსავლით არსებობს და ეს შემოსავალი არის გამჭვირვალე. ამ არხის სარედაქციო დამოუკიდებლობას განსაზღვრავს არხი და მისი ჟურნალისტები. არხის სარედაქციო პოლიტიკა არ ექვემდებარება არანაირ პოლიტიკურ ან სხვა სახის კონიუნქტურასა და „ტრენდს“, რასაც ადასტურებს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების დასკვნები და ამ არხზე მომუშავე ჟურნალისტების რეპუტაცია.

არხი დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით გააგრძელებს მუშაობას და ეს არასდროს შეიცვლება პოლიტიკური კალენდრის მიხედვით. პატივისცემით, ვ.წ.

პ.ს. ეს კინო უკვე ნანახი მაქვს, პირველი სერია გადავიტანეთ, – წერს ვახტანგ წერეთელი.

მმართველ პარტიაში ცოცხალი თავით არ იჯერებენ, რომ გახარიას ასეთი წერილის დასაწერად ხელი მოუბრუნდებოდა. მეოცნებენი მამუკა ხაზარაძეს პოლიტიკური იმუნიტეტის შექმნის მცდელობასა და შოუს დადგმაში ადანაშაულებენ.

– ეს არის აბსურდი, ყოვლად მიუღებელია პოლიტიკური იმუნიტეტის შექმნა იმის გამო, რომ თუკი ვიღაცამ გაბედა და განახორციელა აფიორა, რაც, რა თქმა უნდა, ძიების საგანია, აქედან გამომდინარე ეს იღებს რაღაცა შოუს... ვინც ცდილობს შეიქმნას პოლიტიკური იმუნიტეტი იმის გამო, რომ იკვეთება და შესაძლოა, იკვეთებოდეს ე.წ. აფიორა.

ამიტომ აფიორების დრო დასრულდა ამ ქვეყანაში. სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს, რომ ყველა პროცედურის დაცვით უნდა მოხდეს სამართალწარმოების განხორციელება და ფარატინა ქაღალდზე დაყრდნობით, კომუნიკაციების საუკუნეში თურმე ასეთი ფორმით წარდგენილ შანტაჟზე უნდა გამოვიდეთ ჩვენ და ვამტკიცოთ, რომ ვიღაცამ გაბედა მუქარა და შანტაჟი. ეს არის აბსურდის თეატრი. თავი დაანებოს ყველამ პოლიტიკური იმუნიტეტის შექმნის მცდელობას, ამ პროცესის პოლიტიკურ პროცესებში გადაყვანას, – აცხადებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი.

თიბისი ბანკის დამფუძნებლის განცხადებას იუსტიციის მინისტრისთვის ღიმილი მოუგვრია, თავად ამბობს ასე. თეა წულუკიანი ამბობს, რომ წერილთან დაკავშირებულმა განცხადებამ მამუკა ხაზარაძეს მეტი არასერიოზულობა შესძინა.

– ამ ხმაურიანმა განცხადებამ კიდევ მეტი არასერიოზულობა შესძინა, სამწუხაროდ, თავად ბატონ ხაზარაძეს, საქმეს, რომელსაც თითქოს და სათავისოდ იცავს. მე პირადად ამას, რა თქმა უნდა, პირველი განცხადების მომენტიდანვე ღიმილით შევხვდი, რადგან წარსულში მახსოვს პოლიტიზებული მოსამართლის, გიორგი პაპუაშვილის განცხადება, თითქოს, მას ვემუქრებოდი და შემდეგ აღმოჩნდა, რომ მის სახლთან მომუშავე, ასე ვთქვათ, მემწვანილე ემუქრებოდა. ეს გამახსენდა, გამეღიმა და მერე კიდევ უფრო გამეღიმა, როდესაც აღმოჩნდა, რომ არ აქვს წერილი, რაღაც ნაბეჭდი მოიტანა, – აღნიშნა გამხიარულებულმა მინისტრმა.

მართალია, ის ხაზარაძის ნათქვამს არასერიოზულად აღიქვამს, მაგრამ მიიჩნევს, რომ რეაგირება არასერიოზულ განცხადებაზეც უნდა მოხდეს.

– როდესაც განცხადება კეთდება, საჭიროა შესწავლა, რეაგირება, მაგრამ, სანამ განცხადებას გავაკეთებთ, ყველას გვევალება, სასაცილოდ არ ავიგდოთ თავი, – აცხადებს თეა წულუკიანი.



გავრცელებული ინფორმაციით, ხაზარაძეზე ზეწოლა ანაკლიის პორტის მშენებლობის საკითხს უკავშირდება, რასაც შს მინისტრი გიორგი გახარია კატეგორიულად უარყოფს.

მისი თქმით, ანაკლიის პორტი არის ამ ქვეყნის მომავალი უსაფრთხოების და ეკონომიკის კონტექსტში.

– მე ახლა ჩემს აზრს გამოვთქვამ, ვიღაცას შეიძლება მოეწონოს, ვიღაცას არ მოეწონოს – უამრავი კითხვაა დაგროვილი, განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. მინდა ვთქვა, რომ ყველა ფორმატში, როგორც პროკურატურა იქნება, პარლამენტი იქნება, როგორც ყოველთვის, მზად ვარ, ღიად ვისაუბრო ობიექტურ გარემოებებზე და იმ შეფასებებზე რომლებიც მე მაქვს.

ახლა რაც შეეხება იმ კითხვას, რომელიც აქ რომ მოვედი, უკვე ბევრჯერ დამისვეს. პირველი, რამდენიმე ჩემთვის პირადად კრიტიკულად მნიშვნელოვან მომენტს, გახლავთ ის რომ, სამწუხაროდ და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პარლამენტის ტრიბუნა იყო გამოყენებული ჩვეულებრივი ჭორაობის და ტყუილებისთვის. მეორე – ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზანი ჰქონდა. ნათელია, რომ ამისი მიზანი იყო, შინაარსობრივი საუბრიდან აქცენტების გადატანა რაღაც სკანდალებზე, სამწუხაროდ, ეს გამოვიდა.

ყველაზე მთავარი – მესამე, მე, როგორც ვიცე-პრემიერს და ყოფილი ეკონომიკის მინისტრს, ძალიან კარგად მესმის ამ ქვეყნისთვის და ამ სახელმწიფოს მომავლისთვის, ეკონომიკისთვის რას ნიშნავს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტი.

დღეს, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს და ძალოვანი უწყების წარმომადგენელს, ასევე ძალიან კარგად მესმის, რას ნიშნავს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის. ეს არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტი, საერთოდ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი არის ამ ქვეყნის მომავალი. და ჩვენ ვსაუბრობთ როგორც ეკონომიკაზე, ისე უსაფრთხოებაზე, ჩემთვის უკიდურესად სამწუხაროა, რომ სკანდალებით, რაღაც შეთქმულების თეორიებით ცდილობენ თავიანთი ვალდებულებებს თავი აარიდონ და დააზიანონ სახელმწიფო ინტერესები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ანაკლიის პორტი – ეს არის ამ ქვეყნის მომავალი და უსაფრთხოების და ეკონომიკის კონტექსტში, არავის არ გამოუვა, არც ერთ შემთხვევაში, რომ შეთქმულების თეორიებით, სკანდალებით და ჭორაობით ვალდებულებებს, რომელიც აღებული აქვთ წლების წინ, თავი აარიდონ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

სულ სხვა განწყობაა ოპოზიციაში. იქ გახარიას ეპისტოლეს რეკეტად, მუქარად და მედიაზე ზეწოლად აფასებენ.

– წერილის შინაარსი არის სკანდალური და პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რაც ისედაც ვიცოდით, რომ არჩევნების წინ ხელისუფლებამ ყველაფერი სცადა, ყველა ინსტრუმენტის გამოყენება სცადა, მათ შორის მედიაზე ზეგავლენა, მათ შორის ბიზნესმენებზე ზეგავლენის მოხდენა.

ეს იყო ნაწილი იმ დიდი დაშინების, ძალადობის და მოსყიდვის კამპანიის. რაც შეეხება კონკრეტულად პროკურატურის შეფასებას, არის სასაცილო იმიტომ, რომ როგორ წარმოუდგენია პროკურატურას, ხელმოწერა უნდა ყოფილიყო ზედ კონკრეტული ადამიანის თუ თითის ანაბეჭდი უნდა ყოფილიყო? იმისთვის, რომ გამოძიება წავიდეს, საკმარისი მტკიცებულებაა, – ამბობს მედიასთან საუბარში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომან გოცირიძე ამბობს, რომ უნდა დაველოდოთ ჯერ ლონდონის ანალიზს.

გოცირიძე აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, შუამავლის ვინაობა დადგინდეს, რომელმაც ხაზარაძეს წერილი მიუტანა, რაც რთული დასადგენი არ არის.

– პროკურატურის განცხადება, რომ წერილი არ არის იდენტიფიცირებული, არაფერს ნიშნავს. წერილი გაგზავნილია ლონდონში ექსპერტიზაზე, შეიძლება იქ აღმოჩნდეს თითის ანაბეჭდებიც. აქ ყველაზე მთავარია შუამავალი, რომელიც თურმე ვიცით და შეიძლება ჩვენთვის ყველასთვის ცნობადი სახე იყოს. შეიძლება წერილზე შუამავლის დნმ-ის კვალი, ან თითის ანაბეჭდები აღმოჩნდეს.

შუამავლის გადაადგილების მოძრაობის დადგენა დღეს ძალიან მარტივია, მობილური ანძების საშუალებით. არც ამას გამოვრიცხავ, რომ ისეთი სიბრიყვე გაეკეთებინა, პირდაპირ ბანკში მიეტანა წერილი, ვინაიდან ვერ წარმოიდგენდა გახარია ან ივანიშვილი, რომ ხაზარაძე მსგავს ნაბიჯს გადადგამდა. არ არის გამორიცხული, რომ მათ სიფრთხილე დაკარგეს და პირდაპირ ბანკის ვიდეო კამერების ჩანაწერებშია ეს შუამავალი.

ნორმალური გამოძიების შემთხვევაში, სხვადასხვა ირიბი მტკიცებულებებით ამ წერილის ავთენტურობის დადგენა არის ძალიან მარტივი, – აცხადებს რომან გოცირიძე.

მისი თანაპარტიელი სალომე სამადაშვილი ლონდონიდან პასუხის მიღებამდე ამბობს, რომ ხაზარაძე არ იტყუება.

– მე პირადად არ მაქვს არანაირი ეჭვი, რომ სწორედ მსგავსი გზავნილები მიიღო მამუკა ხაზარაძემ არჩევნების წინ. ბიძინა ივანიშვილის ამოცანა არის ქვეყანაში მედიასივრცეზე სრული კონტროლის დამყარება და ეს წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ მცდელობას.

როდესაც მამუკა ხაზარაძემ ბიძინა ივანიშვილი შეაფასა, რომ „კაგებეშნიკური“ მეთოდებით მუშაობს, ძალიან სწორი შეფასება იყო, რადგან რუსეთის მსგავსი, ანალოგიური პოლიტიკური სივრცის შექმნას ისახავს მიზნად და ეს წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა მეთოდებით მუშაობს დღევანდელი ხელისუფლება, – აღნიშნავს სამადაშვილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მოსკოვი ივანიშვილს ემუქრება“

შორენა მარსაგიშვილი

## პაატა დავითაია: „საქართველო რუსულ სამხედრო ბაზებს დენს უფასოდ აწვდის“

რატომ ამარაგებს საქართველო აფხაზებს ელექტროენერგიით, რა კითხვის ნიშნები ჩნდება ამ საქმეში, რატომ ემუქრება მოსკოვი ბიძინა ივანიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრება.

**პაატა დავითაია:**

– ენგურჰესის მართვის პულტი არის აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხოლო იმ ტერიტორიას, სადაც კაშხალია, აკონტროლებს საქართველო. ამიტომ თბილისსა და სოხუმს შორის მოხდა შეთანხმება, რომ აფხაზებს ელექტროენერგიას უფასოდ მივაწვდიდით.

ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამაში პირადად მე ტრაგიკულს არაფერს არ ვხედავ – ენგურჰესმა უნდა იფუნქციონიროს.

სამაგიეროდ, ჩემთვის ამოუხსნელია, თუ რატომ ვახდევინებთ აფხაზეთიდან დევნილებს ელექტროენერგიაში ფულს, როცა აფხაზებს დენს უფასოდ ვაწვდით. აფხაზები ჩვენი მოქალაქეები არიან და დენს ამიტომ ვაწვდით უფასოდ, ეს აბსურდული არგუმენტია. იმ ხალხს, ვინც ამ არგუმენტს იშველიებს, მინდა ვკითხო, აფხაზეთიდან დევნილები ჩვენი მოქალაქეები არ არიან თუ რა?!

კიდევ ერთხელ ვამბობ, ენგურჰესმა უნდა იფუნქციონიროს და ამიტომ გამართლებულია, აფხაზებს რომ დენს უფასოდ ვაწვდით, მაგრამ აქ სხვა და სერიოზული პრობლემაა.

პრობლემა ისაა, რომ ჩვენ აფხაზებს წელიწადში 500 მილიონ კილოვატსაათს ვაწვდით. ეს რაოდენობა 3 აფხაზეთის გასანათებლად არის საკმარისი.

***– აბა რატომ ვაწვდით ამდენ კილოვატსაათს, თანაც უფასოდ?***

– მეც ეგ კითხვა მაქვს და ამ კითხვას დიდი ხანია, რაც ვსვამ. ამაზე სააკაშვილის დროს პარლამენტში გამოსვლისასაც ვილაპარაკე. მე მაშინდელ ხელისუფლებას ვკითხე, აფხაზებს ამდენ დენს რომ ვაწვდით, რამე კორუფციას ხომ არ აქვს ადგილი და ისინი ამ დენს ხომ არ ყიდიან.

2012 წლის შემდეგ აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება გაიზარდა ორჯერ. აფხაზებს წელიწადში ახლა უკვე 1 მილიარდ კილოვატსაათს ვაწვდით.

***– რატომ გაორმაგდა ეს ციფრი?***

– 2012 წლის შემდეგ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე 28 რუსული სამხედრო ბაზა გაიხსნა.

***– 28 რუსული სამხედრო ბაზა გაიხსნა?***

– დიახ, 28 სამხედრო ობიექტი გაიხსნა. მხედველობაში მაქვს როგორც სამხედრო ნაწილები, ასევე მათთან არსებული სკოლა, ეკლესია და ა.შ. აი, ამ ობიექტებს მიეწოდება ელექტროენერგია ენგურჰესიდან უწყვეტ რეჟიმში უფასოდ.

აფხაზეთში მცხოვრებლებს რაც შეეხება, ისინი საქართველოდან უფასოდ მიწოდებულ ელექტროენერგიაში საფასურს იხდიან.

აფხაზეთში ელექტროენერგიასთან დაკავშირებით სულ პრობლემებია. მოსახლეობას ელექტროენერგია არ ყოფნის.

***– რატომ არ ყოფნის? ხომ ამბობთ, რომ მიწოდება იმაზე მეტია, ვიდრე ეს აფხაზეთს სჭირდება.***

– მიზეზი რამდენიმეა. ეს ელექტროენერგია რუსულ სამხედრო ობიექტებს მიეწოდება და ამის გარდა აფხაზეთის მთავრობა ამ ელექტროენერგიას ყიდის. ამით ისინი აკეთებენ ფულს.



ახლა ენგურჰესზე წყალმა დაიკლო და შეიქმნა პრობლემა. იმისთვის, რომ აფხაზებს დენი მიაწოდონ, საქართველოს მთავრობამ ინტერ-რაოსთან გააფორმა ხელშეკრულება და 43 მილიონი კილოვატსაათი იყიდა, რაც ნახევარი თვის საკმარისი მარაგია და რასაც აფხაზეთს ჩვენ ისედაც ვაძლევთ.

***– აბა რისთვის გაფორმდა ეს ხელშეკრულება ინტერ-რაოსთან?***

– ეს ხელშეკრულება ეჭვებს ბადებს. ან კორუფციასთან გვაქვს საქმე, ან ფულის გათეთრებასთან. ჩვენ ელექტროენერგია რუსეთიდან იმ მიზეზით ვიყიდეთ, რომ აფხაზებს მივაწოდოთ. ამ დროს აფხაზური პრესა წერს, რომ ჩვენ დენს გვაწვდის რუსეთი და ქართველებს არაფერი მოუციათ. ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ ამბობენ აფხაზები ასე.

და მეორე, თუ რუსეთს აფხაზებისთვის დენის მიწოდება უნდა, ამას კრასნოდარის მხრიდან მიაწვდის. ჩვენ რა გავაკეთეთ, ინტერ-რაოსგან კი ვიყიდეთ ეს ელექტროენერგია, მაგრამ ის აფხაზეთისთვის მისაწოდებლად ჩრდილოეთ ოსეთიდან შემოვიტანეთ. აქედანაც შემოდის საქართველოში ელექტროგადამცემი ხაზები.

***– სად ჩრდილოეთ ოსეთი და სად აფხაზეთი.***

– საქმეც მაგაშია. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ან ფულის გათეთრებასთან, ან კორუფციულ გარიგებასთან. შემომტანი კომპანია ფულს აკეთებს.

როგორც ყოფილი გამომძიებელი, გეუბნებით, რომ საქმე გვაქვს კორუფციასთან. ეს გარიგებები მომავალში აუცილებლად გახდება გამოძიების საგანი. ამ საქმეზე ხელის დაფარება არ მოხდება.

***– ახლა რატომ არ ხდება ამაზე რეაგირება? ქართულმა სპეცსამსახურებმა არ იციან ამის შესახებ?***

– მოდით, ასე ვთქვათ, სად ჰყავს საქართველოს სპეცსამსახურები? საქართველოში ბოლოს როდის ნახეთ სპეცსამსახურების მუშაობა? ის სამსახურები, რომლებსაც სპეცსამსახურები ჰქვიათ, ოპოზიციის დევნით არიან დაკავებული.

ამ თემებზე ხმაური როცა ავტეხე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ. ისინი ამ თემით დაინტერესდნენ და საქართველოს ხელისუფლებასაც მოსთხოვეს პასუხი.

დიპლომატიური კორპუსის კითხვებს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპასუხეს, ჩვენ არ გვინდა, რომ აფხაზებმა რუსებთან პირდაპირი მოლაპარაკებები აწარმოონო. გესმით, რა სისულელეს ამბობენ? სეპარატისტებს რუსებთან 300 ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული, საბანკო, სამართალდამცავი, საგადასახადო და ჯანდაცვის სისტემა ერთიანი აქვთ და ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რომ არ უნდათ სოხუმმა მოსკოვთან პირდაპირი დიალოგი აწარმოოსო.



***– რუსული სამხედრო ბაზების დენით უფასოდ მომარაგებას დავუბრუნდები და ცხინვალის რეგიონში მდებარე რუსულ ბაზებსაც ჩვენ ვამარაგებთ დენით?***

– არა, მხოლოდ აფხაზეთში მდებარე ბაზებს ვაწვდით დენს უფასოდ. ესეც ენგურჰესის ფაქტორიდან გამომდინარე.

***– მოდით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეც გკითხავთ. „ოცნების“ ლიდერი პარტიაში ძველ კადრებს აბრუნებს. ამას თქვენ როგორ უყურებთ?***

– ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, ამ ყველაფერს მე ძალიან მშვიდად ვუყურებ. ღარიბაშვილს, როგორც ოპონენტს, ისე ვუყურებ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ის ივანიშვილის მთავრობაში ყველაზე ეფექტური პრემიერი იყო.

***– დაბრუნება მისი ეფექტურობის გამო მოხდა?***

– მოდით, ვთქვათ სიმართლე – დააბრუნა იმიტომ, რომ „ოცნების“ ლიდერს კადრები აღარ ჰყავს. მმართველი პარტიის საკადრო სათადარიგო სკამი აღარ არსებობს.

ისიც ვთქვათ, რომ ივანიშვილის სხვა პრემიერებისგან განსხვავებით, ღარიბაშვილი ცდილობდა, რომ მართლა ყოფილიყო მთავრობის მეთაური. დანარჩენები ყურმოჭრილი მონებივით იქცეოდნენ, ეს თავის პოზიციას მაინც აფიქსირებდა.

„ოცნების“ ლიდერს ეტყობა უნდა, რომ ცოტა უფრო დამოუკიდებელი ადამიანი იყოს მის გვერდით, რომელსაც რაღაც გამოცდილება აქვს. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ღარიბაშვილმა, წესით, შეცდომები აღარ უნდა დაუშვას.

დაბრუნების შემდეგ მის პირველ ინტერვიუს ყურადღებით ვუსმინე და სიმართლე გითხრათ, არ მომეწონა. მან მხოლოდ პარტიაზე ისაუბრა. არადა ხალხს ძალიან უჭირს და ჯობდა, მას ხალხზე ესაუბრა.

პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბრის ნაცვლად ისევ 9 წელს და ნაციონალებს იხსენებდა.

***– ისე ეს ნაციონალები და 9 წელი როდემდე უნდა ვისმინოთ?***

– ამაზე საუბარი უნდა შეწყდეს. მოსახლეობაზე ეს აღარ ჭრის. ამიტომ რაღაც უნდა შეცვალონ. დიდი იმედი არ მაქვს, რომ რამეს შეცვლიან, მაგრამ რჩევის მიცემა შემიძლია. ივანიშვილს და ღარიბაშვილს გადარჩენა თუ უნდათ, დემოკრატიული პროცესები უნდა დაიწყონ.

***– დემოკრატიული პროცესების დაწყებაში რას გულისხმობთ?***

– პირველ რიგში საარჩევნო კოდექსის ცვლილებას. ბოლო არჩევნებთან დაკავშირებით ეუთომ კატასტროფული დასკვნა დადო.

სასამართლო სისტემის მშენებლობა თუ ასე გააგრძელეს, ეს სისტემა მათ დამარხავს. ეკონომიკურად ქვეყანა ჩამოშლილია.

ქვეყანაში აპათიაა გამეფებული და ამაზე ღიად უკვე „ოცნების“ ფეისები ლაპარაკობენ. ეს თუ არ გამოსწორდა, იქ გინდა ღარიბაშვილი დააბრუნონ და გინდა ვლადიმერ ლენინი.

***– ლენინი ახსენეთ და ღარიბაშვილმა თავის პირველ გამოსვლაში ლიდერის თუ ბელადის აუცილებლობაზე ისაუბრა. მართლა გვჭირდება ბელადი?***

– ეს არ არის კარგი მესიჯი. უახლესმა ისტორიამ კარგად გვაჩვენა, თუ როგორ სრულდება ბელადომანია.

***– ამ ბელადომანიისკენ რატომ გვაქვს მიდრეკილება?***

– ბევრს ვიძახით, რომ ევროპელები ვართ, მაგრამ მოდით ვთქვათ სიმართლე და ვაღიაროთ, რომ ნახევრად ვართ მხოლოდ ევროპელები, ნახევრად კი აზიელებად დავრჩით. აზიური აზროვნების ადამიანებისთვის ბელადი საჭიროა.

***– თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ივანიშვილს რუსები ემუქრებიან და რაში გამოიხატება ეს მუქარა. ან რატომ ემუქრებიან?***

– შოიგუს განცხადება ივანიშვილის მისამართით იყო პირდაპირი მუქარა და არა ბახტაძის და კობახიძის მისამართით. დარწმუნებული ვარ, შოიგუმ არც კი იცის, ვინ არიან ისინი.

ივანიშვილს ბევრი რამით შეიძლება დაემუქრონ, პირველ რიგში ფინანსების წართმევით.

***– რატომ უნდა დაემუქროს რუსეთი მას? ის ხომ ყველა მის დავალებას ასრულებს?***

– მე ასე არ ვიტყოდი. ის ცდილობს, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსი დაიჭიროს. მან შევარდნაძის ტაქტიკა აირჩია და ამის გამო მას აუცილებლად აგებინებენ პასუხს.

როგორ უსრულებს ივანიშვილი მოსკოვს ყველა დავალებას? ნატოს წვრთნა წვრთნაზე ტარდება. რაც რუსეთის გაღიზიანებას იწვევს. ამიტომაც ემუქრებიან ისინი „ოცნების“ ლიდერს.

# გუბაზ სანიკიძე: „არ დათმობს ბიძინა? მიიღებს რევოლუციას და ციხეში წასვლა მოუწევს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკასა და პარტია „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნდა, სადაც მან პოლიტიკური მდივნის თანამდებობა დაიკავა. თუ განცხადებებით ვიმსჯელებთ, საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა პოლიტიკაში მისი დაბრუნება. გაჩნდა შთაბეჭდილება, რომ „ოცნება“ რადიკალიზაციისკენ მიდის.

რა გზავნილები დაინახა ღარიბაშვილის დაბრუნებაში, ჰქონდა თუ არა ექსპრემიერს კახა კალაძესთან დაპირისპირება, რა პასუხი აქვს იმ განცხადებებზე, რომ მიხეილ სააკაშვილს შეეკრა და განიხილავს თუ არა რევოლუციურ სცენარს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე საუბრობს:

***– შეაფასეთ ირაკლი ღარიბაშვილის „ოცნებაში“ დაბრუნება. „რეაქციაში“ გაკეთებული განცხადებებით საკმაოდ ხმაურიანი დაბრუნება გამოუვიდა. რა მოლოდინი გაქვთ? „ოცნება“ კიდევ უფრო რადიკალიზაციისკენ ხომ არ წავა?***

– „ოცნება“ დაბრუნდა 2012 წელს. ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რომ ეს წარუმატებელი 7 წელიწადი დაგვესიზმრა, შეგვალღვიძებს ახლა ღარიბაშვილის მეშვეობით და აღმოვჩნდებით 2012 წელში. ივანიშვილი ჰგავს ტყეში დაკარგულ ადამიანს, რომელსაც ჰგონია, რომ წინ მიდის, მაგრამ სინამდვილეში დიდ წრეებს არტყამს და ერთი და იგივე ადგილზე დადის. ღარიბაშვილის ინტერვიუ საერთოდ კატასტროფა იყო. ბევრს არაფერს მოველოდი, მაგრამ ამას ნამდვილად არ მოველოდი. ადამიანი ჰომოფობიური ენით საუბრობდა. რაღაცას აანონსებდა, რეპრესიებს და ა.შ. რეპრესიები აქ თემურ ლენგს არ გამოუვიდა და ღარიბაშვილს როგორ უნდა გამოუვიდეს?! ამიტომ, ეს არის კატასტროფა.



**„კალაძე და ღარიბაშვილი დასანახად ვერ იტანდნენ ერთმანეთს, ახლაც ნაჯახებით დაერევიან“**

ღარიბაშვილს თავი დავანებოთ. ის არაფერს წარმოადგენს. უბრალოდ იმიტაციას ქმნიან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ღრმა პარანოიაშია. სამედიცინო პარანოიას ვგულისხმობ, პოლიტიკურს კი არა. პარანოიკია ჩვეულებრივი, პლუს სოციოპატი, სძულს საზოგადოება. აბსოლუტური უძალობაა მისი მხრიდან. არანაირი ეფექტური აზროვნება არ აქვს. ეს არის დამთავრებული სიმღერა. ახლა ეს დროისა და ტექნიკის საკითხია, როგორ გავუშვებთ ამ პარანოიკს სახლში, საავადმყოფოში, ან ციხეში. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სამედიცინო კომისია.

არავითარი არც გადაჭარბე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნუკრი ქანთარია: „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება კარგი ამბავია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი ნუკრი ქანთარია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე საუბრობს.



***– ბატონო ნუკრი, ღარიბაშვილის დაბრუნება პარტიაში თქვენთვის რა მესიჯია, თქვენ როგორ აღიქვით?***

– ირაკლი ღარიბაშვილმა როდესაც პრემიერის პოსტი დატოვა, დიდი სიმპათია გაიყოლა. ეს აშკარა იყო, ერთ-ერთ დიდ შეხვედრაზე, სპორტის სასახლეში მას ხალხი ოვაციებით შეხვდა. მას აქვს გარკვეული რესურსი, მას ჰყავს მხარდამჭერები. ამიტომ, მისი დაბრუნება პარტიაში კარგი ნაბიჯია.

ეს არ იქნებოდა მარტივი გადაწყვეტილება მისი მხრიდან, მაგრამ ის თავმდაბალი ადამიანია და ამიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ვგულისხმობ იმას, რომ ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო და ახლა სხვა რანგში ბრუნდება.

მე იმედი მაქვს, რომ ის მოახდენს პარტიის, ელექტორატის კონსოლიდაციას, ე.წ. ძველი გვარდიის, რომელიც განაწყენებულია. ის იქნება უშუალოდ პარტიის საქმეებით დაკავებული. ამის საშუალება სხვა ლიდერებს არ ჰქონდათ. არც პარტიის გენერალურ მდივანს და ა.შ. რადგან ისინი ძალიან მაღალი თანამდებობის პირები არიან და უშუალოდ იმ საქმეებით არიან დაკავებულები, რაც მათ ავალიათ ქვეყნის წინაშე.

***– თუ ბიძინა ივანიშვილმა ვერ შეძლო ეს, რადგან სწორედ ივანიშვილის დაბრუნების შემდეგ გავიდნენ პარტიიდან ძველი სახეები, ამას შეძლებს ღარიბაშვილი?***

– იმედი მაქვს, რომ შეძლებს. ბიძინა ივანიშვილი მართალია სწორედ ამ მიზნით დაბრუნდა პარტიაში, მაგრამ ის ვერ დაკავდება წვრილმანი საქმეებით, მას სჭირდება დამხმარე, რომელიც რეგიონებში ჩავა, ხალხთან გამართავს შეხვედრებს.

***– ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის უნდა მოამზადოს პარტია, მაგრამ ის მხოლოდ პარტიული საქმიანობით დაკავდება თუ შეიძლება აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ვიხილოთ პრემიერის რანგში ან შს მინისტრად?***

– ამ ეტაპზე ამაზე არ არის საუბარი. მისი უახლოესი ამოცანაა პარტიის მობილიზება, პარტიის გამართვა. პარტიაში ახალი სიცოცხლის შეტანა, ერთგვარი გააქტიურება და, რაც მთავარია, განწყობის შეცვლა.

ეს არ არის პატარა ამოცანა. ეს ურთულესი ამოცანაა. თუ ეს მოხერხდება, ამის შემდეგ შეიძლება მან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლოს. თუ ეს ეტაპი წარმატებით გაიარა, შემდეგ შეიძლება ის გადავიდეს მთავრობაში.

***– შეიძლება პრემიერად დაბრუნდეს?***

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ჯერ ამაზე საუბარი ადრეა. ამას მომავალი გვიჩვენებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

***– აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილს ახლა ძიების პროცესი აქვს, ამას სამთავრობო ცვლილებები მოჰყვება?***

– მე დიდი ხანია, ცვლილებებზე ვსაუბრობ, რომ ეს საჭიროა. ცვლილებების მოლოდინით ვარ კიდეც პარტიაში. როდესაც ჟურნალისტები მეკითხებოდნენ, პარტიიდან ხომ არ გადიხართ, მე მათ ვპასუხობდი, რომ სასიკეთო ცვლილებებს ველოდები და ამის ერთ-ერთი წინაპირობა, სასიკეთო ნიშანი არის ირაკლის პარტიაში დაბრუნება.

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების ამბავი ამოტივტივდებოდა ხოლმე, ჩვენ ვიკითხავდით, რომ ამ ახალგაზრდა კაცის, რომელმაც თან გაიყოლა გარკვეული რესურსი, დაბრუნება შეიძლებოდა, ახლა ეს მოხდა. ვფიქრობ, კარგი ნაბიჯი გადაიდგა. დანარჩენი ცვლილებების გარდაუვალობას რეალობა თავად გვიჩვენებს, მაგრამ რა სახის, როგორი სახის, ეს გამოჩნდება და ვნახავთ.

***– ახლების გუნდი როგორ შეხვდა ამ ფაქტს?***

– კომენტარებს თუ დავუჯერებთ, ყველა საკმაოდ დადებით განწყობაზეა. დანარჩენი გამოჩნდება.

***– ეჭვიანობის საფუძველი არ აქვთ, როგორ ფიქრობთ?***

– ვერაფერს გეტყვით, გულის სიღრმეში ვინ რას ფიქრობს, რადგან ამაში არავინ გამნდობია. თუმცა, განწყობები დადებითია და ასეც ველოდი. რა თქმა უნდა, ვერავინ იტყოდა – რატომ? რისთვის? ახლა მთავარია, ვინ როგორ შეუწყობს ხელს ირაკლის ამ მთავარ საქმეში, ამას ვნახავთ.

***– თითქოს მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში უნდა ეყარა კენჭი და ამ გზით შესულიყო პარლამენტში, რაც მან უარყო. თუ არის საუბარი, ვინ შეიძლება იყოს „ოცნების“ კანდიდატი?***

– ამ ეტაპზე არ არის საუბარი, თუმცა ადრე იყო გარკვეულ პერსონებზე საუბარი.

***– ვისზე იყოს საუბარი?***

– არ შემიძლია ამაზე საუბარი. ალბათ უახლოეს მომავალში ეს საკითხი იქნება განხილვის საგანი.

***– პარტიის წევრზეა საუბარი თუ გარედან შეიძლება იყოს დასახელებული კანდიდატი?***

– დიახ, პარტიის წევრებზე იყო ადრე, მაგრამ ამ ბოლო დროს არ ყოფილა საუბარი. ამაზე მეტის თქმა დღეს არ შემიძლია.

***– ბატონო ნუკრი, არ შეიძლება, მამუკა ხაზარაძის მიერ დაკითხვაზე მიტანილ წერილზე არ გკითხოთ. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?***

– ხაზარაძეს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ გახარიას მიმართ, მის მოწინააღმდეგეებსაც კი, მის გონებრივ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, მე გამიკვირდა, როდესაც წერილი ახსენა ხაზარაძემ. ადამიანი ასეთ მუქარაზე წასულიყო და თან კვალი დაეტოვებინა წერილის სახით, ცოტა არ იყოს, არ მესმის.

***– წერილში ავტორი არ არის მითითებული.***

– დიახ, და ასეთი წერილი რომ არ იქნებოდა არაფრის მომცემი ხაზარაძისთვის, ეს ხომ უნდა გაეთვალისწინებინა?! ვერაფერს გეტყვით. შეიძლება რაღაც წამოაცდევინეს და მერე უკან ველარ დაიხია.

***– ვინ?***

– არ ვიცი! ახლა რა უნდა დაადგინოს ლონდონის ექსპერტიზამ, რომელი კომპიუტერიდან არის ამობეჭდილი?! აბა ხელნაწერი არ არის, ავტორი არ ჰყავს. თარიღი არ აქვს.

***– ამ საქმის ფინალი რა იქნება? ოქუაშვილის საქმესთან შეიძლება პარალელი გავავლოთ?***

– არა, არა! ამ საქმის ფინალი ხაზარაძის პოლიტიკაში წასვლა შეიძლება იყოს. თითქოს ყველაფერი აქეთკენ მიდის. ამას მე ნამდვილად არ გამოვრიცხავ. თუმცა, მთავარი კითხვა მაინც 11-წლიან ვადას ეხება. რატომ 11 წლის წინანდელი საქმის გამოძიების დღეს დაწყება?! ეს კითხვა საზოგადოებას აქვს. მეტი მკაფიობა არის საჭირო ამ საქმესთან დაკავშირებით.

# გუბაზ სანიკიძე: „არ დათმობს ბიძინა? მიიღებს რევოლუციას და ციხეში წასვლა მოუწევს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბაა, არც უტრირება და არც არაფერი. კაცი პარანოიკად არის ჩამოყალიბებული. ჰგონია, რომ ჩვენ ღარიბაშვილის შეგვეშინდება და ბუჩქებში დავიმალებით. რა უნდა ელაპარაკო, კაცი ჭკუაზე აღარ არის. ღარიბაშვილიც იმ გზას ადგას. რა ილაპარაკა, გაიგეთ?

***– შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რადიკალიზაციისკენ აიღებს გეზს ხელისუფლება.***

– გააკეთონ. უფრო მალე მოიტეხავენ კისერს და უფრო მალე დამთავრდებიან. საქართველოში რა რადიკალიზმი უნდა გამოავლინოს ხელისუფლებამ. სამწუხაროა, რომ ეს ადამიანები არ იცნობენ ქვეყანას.

***– გადაცემის წამყვანს კი უთხრა, რომ მისი ინტერპრეტაცია იყო, მაგრამ თქვენ არ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ როცა ის ბესელია-ფოფხაძე-გოგიჩაიშვილზე საუბრობდა, მათ ნაცმოძრაობასთან აიგივებდა?***

– ძველი ზღაპარი იყო ურფინ ჯუსი და მისი ხის ჯარისკაცები. ბიძინა ამ შემთხვევაში არის ურფინ ჯუსი, ღარიბაშვილი კი მისი ხის ჯარისკაცი. კაცი აბსოლუტურად არაადეკვატურია. ჩვენ შევესწარით ახალი რელიგიური სექტის შექმნას, რომელსაც თავისი ცოცხალი ქრისტე ჰყავთ, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. ღარიბაშვილი ამ ჭკუაზეა, ბატონი ბიძინა და ბატონი ბიძინა. კაცი 4 წელია წავიდა პრემიერობიდან, სახლში რომ იჯდა, წიგნი მაინც წაეკითხა რაღაცა.

***– პრემიერობიდან წასვლის პერიოდზე თქვა, რომ კალაძესთან კონფლიქტი არ ჰქონია. თქვენ მაშინ კოალიციაში იყავით. რა ინფორმაცია გაქვთ?***

– რას ლაპარაკობს? როგორ არ ჰქონდათ? ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანდნენ. ეს იცით, როგორ გაგრძელდება? გარეთ ვინმეს კი არ გააგებინებენ, ერთმანეთს ნაჯახებს დაუშვებენ შიგნით. ყოველდღე გვექნება ინფორმაცია, ის გაიქცა, ის კალაძის მხარეს გადმოვიდა. ნიუსები სულ გვექნება, „ოცნებაში“ ბლაგვი ნაჯახებით როგორ დასდევენ ერთმანეთს.

***– ხომ არ გგონიათ, რომ პარტიაში კალაძის გავლენების შესასუსტებლად დააბრუნა ივანიშვილმა ღარიბაშვილი?***

– არ ვიცი. მე უფრო ვჯავრობ, რა ხდება აფხაზეთში, ცხინვალში და რა ხდება ჩვენს სამეზობლოში. კალაძის გავლენებზე მსჯელობისთვის 5 წუთს არ შევიწუხებ თავს. რა გავლენებზეა საუბარი?! არ იქნება ივანიშვილი და არც ეგენი იქნებიან. ფოკუზნიკებივით გაქრებიან.

ჩვენ ზედმეტ ყურადღებას ვაქცევთ ამ თემას. გავლენები ჰქონდათ იოსებ ჯუღაშვილს, უინსტონ ჩერჩილს და ამნაირ ადამიანებს. პარტიაში კალაძის რომელ გავლენაზეა საუბარი?! მომწონს კიდევ სიტყვა „გუნდი“. რა გუნდი, ჩვეულებრივი ნახირი და ბანდაა. მთავარი ბანდიტი არის ბიძინა ივანიშვილი.

***– თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ივანიშვილს ციხეში ჩასვამდით?***

– მე რატომ უნდა ჩავსვა? ციხეში ქართულმა კანონმდებლობამ უნდა ჩასვას. ისე მიდის საქმე და ისეთი რაღაცები იკვეთება, განსაკუთრებით ხაზარაძის გამოსვლის შემდეგ, რომ ბიძინა ივანიშვილი ტუსაღობის რეალური კანდიდატია.

***– თქვენი განცხადებების გამო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისგან თუ ვინც იყვნენ, მწვავედ კრიტიკა დაიმსახურეთ, როცა თქვით, რომ სააკაშვილი სწორ გზავნილებს აჟღერებს და ა. შ. რა პასუხი გაქვთ?***

– ცივი წყალი დალიონ. სააკაშვილის მომხრეების გაზრდა ჩემი ბრალი კი არ არის, ეს არის მათი გენიალური ბელადის ბიძინა ივანიშვილის ბრალი. არჩევნებს არ ითვლის ეს ხალხი? არითმეტიკა არ უსწავლიათ, თვლა არ იციან?! 250.000-დან 1 მილიონამდე რომ არის უკვე ასული სააკაშვილის მომხრეთა რიცხვი, მე რა შუაში ვარ?! მე რომ გავჩერდე, ეს ასე არ იქნება?! ამიტომ თავიანთ ბელად ბიძინას მიხედონ. პრეტენზიები იქეთ. მოვუწოდებ ივანიშვილის მცირერიცხოვან მომხრეებს.

სოციალურ ქსელებში ჩემს კრიტიკას რაც შეეხება, ამას მოქალაქეები არ აკეთებენ. ამას აკეთებს, ბანდა რომ ჰყავს დაყენებული – 4 კაცი.

ოთხივეს გადასარევად ვიცნობ მოხარშულს. ისინი რომ ავრცელებენ ჩემზე, რომ აი სააკაშვილს შეეკრა, მიშისტი გახდა და ა. შ. ვინც ბიძინას ჭკუაზე არ ვართ, ყველანი მიშისტები ვართ. ხომ მიიღეს ცეკას დადგენილება, რომ ვინც ივანიშვილს გაამტყუნებს ან გააკრიტიკებს, ის ჩაითვლება მიშისტად. პარტიაში მიღებული აქვთ, რომ ბიძინა არის უბიწო ქალწული.

***– მოჰყვა რაღაც ინსინუაციები, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ და ნინო ბურჯანაძე თანამშრომლობს მიშასთან, ერთიანდებიან და ა. შ. ამაზე რას იტყვით?***



– თანამშრომლობა იქნება საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. ამ თემაზე, რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებთ.

***– პოლიტიკურ ერთობაზე საუბარი არ არის?***

– არა. ზეთი და წყალია, როგორ გამოვა ეს ამბავი. აქ არის საუბარი საერთო თამაშის წესების შეთანხმებაზე, მადლობა ღმერთს, ოპოზიციის უდიდესი ნაწილი ერთიანდება ამ ერთი საკითხის გარშემო. ვინმეს გარშემო კი არა, არამედ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარშემო. რამდენიც არ უნდა ისისინონ ივანიშვილის ტროლებმა და ბოტებმა, გამორიცხულია, მათ მოსაზრებას ანგარიში აღარ გაეწევა. მორჩა და გათავდა.

ბიძინა ივანიშვილი რჩება მარტო. ვისაც თავში ტვინი აქვს, დროზე იფიქროს, რომ გადმოხტეს გახვრეტილი ნავიდან.

***– ივანიშვილში ხედავთ სახიფათო პოლიტიკურ ლიდერს, სააკაშვილში აღარ ხედავთ, რომელსაც მრავალი წელი ებრძოდით?***

– დღეს ნომერ პირველი ხიფათი ბიძინა ივანიშვილია. სააკაშვილი არის შორს. სირცხვილი ხომ არაა, როცა გაქცეული, უპასპორტო კაცის ეშინიათ ლომგულ ბიძინას მომხრეებს. შეკითხვა ისმის, რატომ ხდება სააკაშვილის მომხრეების რიცხობრივი ზრდა. რაშია საქმე?! გუბაზ სანიკიძის განცხადებების ბრალია?! ასე ჩამორჩენილები და პრიმიტივები არიან?!

ჩემთვის სასიამოვნოა, ასე ყურადღების ცენტრში რომ ვარ „ოცნების“ აპოლოგეტების და ძალიან მომწონს, ჩემს ბიოგრაფიულ ცნობებს რომ ეცნობიან და გუბაზოლოგიის სპეციალისტები გახდნენ. ჯერ სად არიან, სიურპრიზები წინ აქვთ. იმიტომ, რომ ქვეყანას აქცევს მათი ბელადი. არის სერგო ორჯონიკიძის რეალური ღირსეული კანდიდატურა.

***– ისაუბრეთ საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ ოპოზიციის ერთობაზე. როცა ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს, რა რესურსს ხედავთ? ხომ არ გამოიყენებთ ქუჩის აქციებსაც?***

– რევოლუცია ჰქვია ამ რესურსს. ფინალში იქნება რევოლუცია. არ დათმობს ბიძინა? აბსოლუტურად ყველაფერს დათმობს! ეს ისტორიის დაუნდობელი ლოგიკაა. ვინც არ თმობს არაფერს, მას მოუწევს ყველაფრის დათმობა.

***– ანუ თუ დათმობაზე არ წამოვა, ქუჩის აქციებს გეგმავთ?***

– რა თქმა უნდა, თუ ის არ შეცვლის საარჩევნო გარემოს და ჩაატარებს არჩევნებს, სადაც ის გააყალბებს, რა თქმა უნდა, დაპანღურებული იქნება ქართველი ხალხის მიერ. არა მარტო დაპანღურებული, არ არის გამორიცხული, ციხეშიც აღმოჩნდეს.

ძალიან მარტივად არის საქმე, ეს არც უტრირებაა და არც არაფერი. აგერ მე და აგერ თქვენ და აგერ ქართველი ხალხი. ნახავთ, როგორ დაამთავრებს ბიძინა ივანიშვილი. ყველაზე ცუდად დაამთავრებს.

საქართველოში მმართველები საერთოდ ცუდად ამთავრებენ მათთვისაც და ქვეყნისთვისაც, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ყველაზე სავალალოდ დაამთავრებს და აუცილებლად მოუწევს ციხეში წასვლა. ხაზარაძის ამბის შემდეგ „ოცნების“ ლიდერშიპი უკვე ორცხობილებს უნდა აცხობდეს.

# რამაზ საყვარელიძე: „ოცნება“ ძველებად და ახლებად უნდა გაიყოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, როგორ აფასებთ ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ მოსვლას? სულ საუბრობდით, რომ ივანიშვილი შემოგვთავაზებდა სიურპრიზებს. დაიწყო ეს პროცესი?***

– დიახ, ფოკუსები დაიწყო. შემოგვთავაზებდა სიურპრიზებს რომ ვამბობდი, ეს წინასწარმეტყველებად ნამდვილად არ ჩაითვლება, უფრო ლოგიკის გამო მოგახსენებდით. იმიტომ, რომ პირობა თვითონაც დადო.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიღებულმა შედეგმა გვახსოვს, რომ დაძაბა მდგომარეობა „ოცნებაში“. დღეს რომ ამბობენ, გაუჭირდა „ოცნებასო“, დღეს კი არ გაუჭირდა, მაშინ გაუჭირდა. ანუ იქ გამოჩნდა, რომ „ოცნებას“ უჭირდა. ივანიშვილმა პირობა დადო, სიტუაციას შევცვლიო. საკადრო პოლიტიკაც კი ახსენა ამასთან დაკავშირებით და ამ პირობას ასრულებს. სხვადასხვა ვარიანტებს ეძებს ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად და ერთ-ერთი გამოსავალი არის ის, რაც თვითონ თქვა მეორე ტურის წინ, ძველ გვარდის რომ სთხოვა დახმარება.

***– ეს ხომ კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს, რომ ღრმა კრიზისია მმართველ გუნდში, არ ჰყავთ ახალი სახეები და ძველებს მიუბრუნდნენ?***

– ახალი სახეები რომ იყო, ვიძახდით, რომ ახალ სახეებს მოაქვთ კრიზისიო. მიუბრუნდნენ ძველებს და კრიზისია, ძველებს მიუბრუნდნენო. ეგ ბუნებრივია, ვერ ასიამოვნებ ყველას ერთი და იგივე პროცესით, მაგრამ ერთი რამე ფაქტია, პარტიამ, ამ შემთხვევაში ივანიშვილმა, სცადა ახალი სახეებით მომარაგება, ახალი სახეებით წარდგა საზოგადოების წინაშე წინა საპარლამენტო არჩევნებზე, ადგილობრივ არჩევნებზე და ასე შემდეგ. შედეგად ჩამოყალიბდა მერე ახალი სახეებისგან პარლამენტის ხელმძღვანელობა, უმრავლესობის ხელმძღვანელობა და ფრაქციის ხელმძღვანელობა, ისინი ყველა ახალგაზრდაა.

***– ვერ გაამართლეს ახალგაზრდებმა?***



– ამ გადაწყვეტილებაზე იმ პერიოდში ივანიშვილი წავიდა. ახალგაზრდებმა კი პარლამენტში შექმნეს ისეთი სიტუაცია, რომ ივანიშვილს მობრუნება მოუწია. თუმცა ეს ნაპრალი ივანიშვილმა ვეღარ ამოავსო. იგივე ახალგაზრდა სახეებმა საპრეზიდენტო არჩევნებიც ვერ წაიყვანეს ისე, რომ მოგებამდე მისულიყო. ან არ წაიყვანეს.

იგივე ახალგაზრდა სახეებმა მოსამართლეთა კანდიდატურებს დაუჭირეს მხარი. იგივე ახალგაზრდა სახეებმა პატრიოტთა ალიანსის ინიციატივა ნაციონალების რეჟიმის შეფასებაზე, ჩააგდეს. თან ჩაგდებასაც თავისი ფორმა აქვს. პრინციპულად უარი თქვეს, იმიტომ, რომ არასწორად არის გაკეთებულიო. თუმცა მანდ შეიძლებოდა სხვანაირი სტრატეგიის არჩევა.

***– ღარიბაშვილის შემობრუნების რამდენიმე ვერსია განიხილება, თქვენ რომელს ემხრობით?***

– პარლამენტში შესვლაზე თავად ღარიბაშვილმა უარყო ეს ვერსია და მეც მიმაჩნია, რომ საჭიროება მისი პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნისა ნაკლებია, ვიდრე პოლიტსაბჭოში ყოფნისა, რადგან გადაწყვეტილებები მზადდება პოლიტსაბჭოში. პარლამენტი მერე იმ გადაწყვეტილებათა შემსრულებელია. თუ პოლიტსაბჭოში იქნა ძალთა ბალანსი დარღვეული რომელიღაც ერთი ჯგუფის სასარგებლოდ, იმ ჯგუფის პოზიციის გამტანი აღმოჩნდება მერე ღარიბაშვილი. ასე რომ, გასაგებია, რატომ უნდათ ღარიბაშვილი პოლიტსაბჭოში.

***– ანუ დააბრუნეს პარტიაში პოზიციების გასამყარებლად?***

– დიახ, პარტიაში პოზიციების გასამყარებლად. ეს კალაძეს უკავშირდება თუ არა, ვერ გეტყვით, არა მგონია, რომ არჩეული მერის დამბალანსებელი შეიძლება აღმოჩნდეს დანიშნული წევრი პოლიტსაბჭოსი.

***– სულ საუბრობდნენ, რომ მათ არ აქვთ კარგი ურთიერთობა და ფარულად ებრძვიან ერთმანეთს.***

– მეფის კარზე, ძალაუფლების გარშემო ყოველთვის ბრძოლაა.

***– სერიოზული საკადრო ცვლილებები იწყება. პირველ რიგში პრემიერის და ეკონომიკური გუნდის შეცვლაზე მიდის საუბარი. თქვენ რას იტყვით ამ მხრივ?***

– ეგ უფრო ადვილი საქმეა იმ მხრივ, რომ პარლამენტი ირჩევს მთავრობას და პარლამენტივე გადაირჩევს. ეგ პრობლება არ დგას, მაგრამ უფრო რთულია თვითონ საპარლამენტო ჯგუფში ცვლილებების მოხდენა, იმიტომ, რომ ეს არჩეული ხალხია. საინტერესო ის არის, პარლამენტში როგორ სტრატეგიას დაადგებიან. მინისტრებს გაუშვებენ, მაგრამ დეპუტატებს ხომ ვერ გაუშვებენ სახლში?!

***– რა ცვლილებებს განახორციელებენ?***

– საპარლამენტო უმრავლესობაში ცვლილებების განხორციელების მექანიზმი შეიძლება აღმოჩნდეს ახალი ფრაქციების შექმნა, ახალი ისეთი ჯგუფების შექმნა, რომლებითაც დღეს არსებული ბირთვი „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ჯგუფისა შეიძლება აღმოჩნდეს დაბალანსებული, თუ დაჩაგრულიც არა.

შიგნით გაჩენილი ნაპრალი ახლებსა და ძველებს შორის როგორმე მოსავლელია. ივანიშვილიც მაგ ნაპრალის მოვლისთვის დაბრუნდა, მაგრამ ვერ მოაგვარა. ასე ცალკეული ფიგურებით, მაგალითად, ღარიბაშვილითაც ეს პრობლემა არ გადაწყდება.

***– მაშინ რა არის გასაკეთებელი?***

– ჩამოსაყალიბებელია ცალკე ჯგუფი ისეთი ორიენტაციის ხალხისგან, პოლიტიკოსებისგან, რომელთაც პირობითად ძველ გვარდიას უწოდებენ. მათი შერევა ახალგაზრდებთან არ იძლევა სასურველ შედეგს იმ მხრივ, რომ შერევა



ყოველთვის შერეული სურათის მატარებელია. სუფთა სახით თუ ჩამოაყალიბებს ძველების გუნდს და ახლების გუნდს „ქართული ოცნება“, ეს უფრო სწორი და მკაფიო გზა იქნება.

***– ანუ გუნდი გაიყოს?***

– გაიყონ, ცალკე ფრაქციად გავიდნენ და მერე ივანიშვილსაც დარჩება მოძრაობის თავისუფლება.

***– ეს ყველაფერი გათვლილია 2020 წელზე. ივანიშვილს ხომ არ დააგვიანდა?***

– ეტყობა, მას საკუთარი თავის იმედი აქვს. 2012 წლის არჩევნების წინ, ერთი წლით ადრე დაიწყო მან პოლიტიკურ სივრცეში მოქმედება და ერთი წლის მერე გაიმარჯვა. ასეთი ერთი წელი არის ახლაც დარჩენილი. თუმცა სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე იყო მაშინ. მაშინ უპირობო რწმენა ჰქონდა საზოგადოებას მისი.

***– დღეს იმედი შელახული აქვს?***

– დიახ, დღეს დამტკიცება სჭირდება ივანიშვილს იმისა, რომ მისი მხარდაჭერა საჭიროა. მე მგონია, რომ მაინც ბოლო მომენტისთვის ინახავს გადამწყვეტ სვლებს.

***– ანუ მისგან სიურპრიზებს უნდა ველოდოთ?***

– მე მგონი, კი. ყოველ შემთხვევაში, თუ არ იქნება ეს სიურპრიზები, დიდი შანსია, რომ 2020 წლისთვის „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდეს შთამბეჭდავი შედეგები.

# თამარ ჩხეიძე: „ღარიბაშვილი აგრესიის საქადაგებლად და პარტიის დაშლის საპასუხოდ დააბრუნეს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკაში სწრაფად მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

***– თქვენი აზრით, არის თუ არა გათვლილი ირაკლი ღარიბაშვილის მმართველ პარტიაში მობრუნება ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობაზე? ჯერჯერობით, ის ადამიანებიც კი, რომლებიც თავის დროზე ღარიბაშვილს დადებითად აფასებდნენ, ამით განსაკუთრებულ ოპტიმიზმს არ ამჟღავნებენ.***

– ხალხი რომ ოპტიმიზმს არ გამოხატავს, ეს ბუნებრივია. ეს უფრო მმართველ პარტიაში დაწყებული დაშლის პროცესის საპასუხო ნაბიჯია. გარდა ამისა, ღარიბაშვილის დაბრუნება ნიშნავს ოპონენტების მიმართ აგრესიის გაძლიერებას. ამგვარი აგრესია ისედაც არსებობს, ღარიბაშვილი კი თავისი ქადაგებით მას უფრო გააღრმავებს.

***– ასეთი შთაბეჭდილება იმიტომ დაგრჩათ, რომ მან სააკაშვილის მმართველობა რამდენჯერმე მოიხსენია სისხლიან რეჟიმად?***

– ეს რომც არ ეთქვა, ისედაც გვახსოვს მისი განცხადებები და სიძულვილის ენა. ამ კურსს ის გაამძაფრებს. ამასთან, შეეცდება თავის გარშემო პარტიაში ხალხის, განსაკუთრებით, დარჩენილი ძველი სახეების შემოკრებას. როგორც გაირკვა, პარტიიდან გამოსული ძველი სახეებიც, მაგალითად, ეკა ბესელია, მიესალმებიან მის დაბრუნებას.

***– ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ პარტია შეასრულებს გაცემულ დაპირებებს. 2012 წლიდან დღემდე „ქართული ოცნება“ ხალხს უხვად ჰპირდებოდა ბევრ რამეს.***

– ეს არასერიოზული დაპირებაა. როგორ შეიძლება, მოკლე ხანში, შეასრულო ყველა ის დაპირება, რომელიც „ოცნებამ“ გასცა? ეს წარმოუდგენელია. სიძულვილის ენის გამოყენებით ის მოიმადლიერებს ხალხის იმ მცირე ნაწილს, რომელიც „ქართული ოცნებისაგან“ ამგვარ მოქმედებებს მოელოდა. ღარიბაშვილი ხელს შეუწყობს რეპრესიებს, რომლებიც ისედაც მიმდინარეობს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– რაც ზოგადად ბიზნესის მიმართ ხდებოდა, დიდი ხანია, ვიცით. ერთი კაცი წყვეტს ქვეყანაში, ვის რა ბიზნესი და ქონება უნდა ჰქონდეს და საით რა წილი უნდა წავიდეს. ბოლო



ხანს ეს უფრო გამოაშკარავდა. თიბისისა და მამუკა ხაზარაძეს ებრძვიან შერჩევით, პოლიტიკურად. ასევე ექცევიან პოლიტიკურ ოპონენტებს.

გასაგებია, რომ ოპოზიციონერ დავით კირკიტაძეს ჰქონდა გადაცდომა. ეს განაპირობა იმან, რომ ხელისუფლება ხელს უშლიდა მშვიდობიანი მომიტინგეების გადაადგილებას. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა არა აქვს, რა ბრალდებას აყენებს ხელისუფლება. ასეთ დროს მთავარია არა ბრალი, არამედ, მოტივი. თუ კაცის დაჭერა უნდათ, საბაბი ყოველთვის გამოიძებნება. ამის ნათელი მაგალითია ზვიად კუპრავა, რომელიც თავისი აქტიურობით პრობლემებს უჩენდა ხელისუფლებას.

***– თქვენ მიერ ნახსენები კირკიტაძე სხვებთან ერთად საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს აპროტესტებდა. 6 მარტს პრეზიდენტი პარლამენტში მოხსენებით გამოვიდა. ნაციონალური მოძრაობა გამოსვლას არ დაესწრება, ვინაიდან მიაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილი არ არის ლეგიტიმური არჩევნების პროდუქტი. ასეთი მიდგომები გაგრძელდება?***

– საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი სამართლიანად დარწმუნებულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები დიდი დოზით გაყალბდა. ჩვენ რომ ბრძოლისუნარიანი და გამოწვევების მიმართ იმუნიტეტის მქონე ხალხი ვიყოთ, ამას ასე არ დავტოვებდით. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებსაც ამ დღეებში ეუთო დაემატა,

**„თუ „ქართული ოცნება“ გაყალბებას იმავე დოზით მიმართავს, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენა, ძალაუფლების შენარჩუნებას პროპორციული არჩევნებითაც უზრუნველყოფს“**

საკმაოდ კრიტიკული დასკვნები გამოიტანეს ამ არჩევნებზე. ამ ფონზე მსოფლიოში არავის გაუკვირდებოდა საზოგადოების ძლიერი მშვიდობიანი პროტესტი.

***– გამოსვლები დაიწყო კიდეც, მაგრამ შემდეგ გაჩერდა.***

– სამწუხაროდ, გაჩერდა. ეს არ იყო არჩევნები. ხალხის დიდ ნაწილს ახლანდელი პრეზიდენტი არ მიაჩნია გამარჯვებულად. ფაქტობრივად, საზოგადოებამ და პოლიტიკოსებმა მოახერხეს სხვა კანდიდატის გაყვანა. ეს ხელისუფლებამ კარგად უწყის. ამიტომაა, რომ ეს სიტუაცია მოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზე. საბოლოოდ, ეს უკვალოდ არ ჩაივლის.

***– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მივალთ?***

– ვადამდელი არჩევნებისათვის ცოტა დრო რჩება. დიდი პროცენტია იმისა, რომ მივიდეთ 2020 წლის არჩევნებამდე. თუმცა, არც მოულოდნელობებია გამორიცხული.

***– პროპორციულ სისტემაზე გადასვლა რეალურია 2020 წლისთვის?***

– ეს შესაძლებელია. ოღონდ, გასათვალისწინებელია ერთი მომენტი – თუ „ქართული ოცნება“ გაყალბებას იმავე დოზით მიმართავს, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენა, ძალაუფლების შენარჩუნებას პროპორციული არჩევნებითაც უზრუნველყოფს.

***– თუ არჩევნები ყალბდება, პროპორციული იქნება თუ შერეული, ამას მნიშვნელობა აქვს?***

– მნიშვნელობა მაინც აქვს. მაჟორიტარების ხარჯზე „ოცნება“ უფრო მეტ მანდატს ჩაიგდებს ხელში. მარტო პროპორციულის შემთხვევაში, თუ საზოგადოების მხრიდან ზეწოლა და წინააღმდეგობა იქნება, მმართველ პარტიას უფრო გაუჭირდება. არჩევნებამდე დაახლოებით წელიწადნახევარია, მაგრამ მოვლენები ძალიან სწრაფად იცვლება და კაცმა არ იცის, რა მოხდება.

***– გარედან ჩარევით?***

– რასაკვირველია. საქართველოში მოვლენები მხოლოდ შიდა პროცესებზე არ არის დამოკიდებული. „ქართული ოცნება“, მაგალითად, მიბმულია რუსეთის ფაქტორზე. ეს რომ არა, ის ხელისუფლებაში ვერ გაჭაჭანდებოდა და ვერც არჩევნებს გააყალბებდა. ისე სწრაფად ვითარდება მოვლენები, რომ მოულოდნელად 2020 წლამდე შეიძლება ბევრი რამ მოხდეს.

# საქართველოს ეროვნულ პარკებს 2018 წელს მილიონზე მეტი ვიზიტორი ეწვია

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოს ეროვნულ პარკებს რეკორდული რაოდენობის – 1.130.462 ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. მათ შორის 53% ქართველია, ხოლო 47% – უცხოელი.

მათივე ინფორმაციით, 2018 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა: პრომეთეს მღვიმეს; მარტვილის კანიონს; ყაზბეგის ეროვნულ პარკს; თბილისის ეროვნულ პარკს; ოკაცეს კანიონს;

საერთაშორისო ვიზიტორებიდან დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა გერმანიიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან.

2018 წლის განმავლობაში, ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა რეკორდული თანხა – 8.417.991 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 87%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

დაცული ტერიტორიების სააგენტო აქტიურად ემზადება 2019 წლის ეკოტურისტული სეზონისთვის.

საქართველოს ეროვნულ პარკებში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარე წელს ვიზიტორებისთვის კიდევ ერთი ახალი ეკოტურისტული მიმართულება – ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი გაიხსნება, სადაც ეკოტურისტული ბილიკი და ინფრასტრუქტურა მოეწყო.

1 არხი

# დავით ლორთქიფანიძე: „ღარიბაშვილი პოლიტიკაში მოვიდა, როგორც ოქროს სათადარიგო მოთამაშე“

გულიკო ბალაძე

შეძლებს თუ არა „ოცნება“ ახალი კონფიგურაციით, ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით, პარტიის გაერთიანებას? რატომ ეხვევა „ოცნება“ დაუსრულებელ სკანდალებში? ამ თემებზე „ახალ თაობას“ მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი დავით ლორთქიფანიძე ესაუბრა.



***– ბატონო დავით, პარტია „ქართულ ოცნებაში“ ისევ ხართ?***

– რა თქმა უნდა, პარტიიდან არც არასოდეს წამოვსულვარ.

***– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ განაწყენებული იყავით.***

– პრესკონფერენციაზე აქცენტი გავაკეთე, რომ ჩვენი მხარდამჭერები არიან გულნატკენები. ჩემზე და სოსო ჯაჭვლიანზე (რომელთან ერთადაც პრესკონფერენცია გავმართე) არ არის საუბარი. ჩვენ პარტიას არც გავრიდებულვართ და არც კარი ყოფილა გამოკეტილი ჩვენთვის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი მხარდამჭრები ბედნიერები არიან.

***– როგორ აფასებთ „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს. დეპუტატების ნაწილმა უმრავლესობა დატოვა. სანაცვლოდ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ირაკლი ღარიბაშვილი დააბრუნა. ამდენად, „ოცნების“ საჭადრაკო დაფაზე კონფიგურაციები იცვლება. რას შეცვლის ეს „ოცნებაში?***

– შიგნით ყველაფერი კარგად რომ არ არის, თვითონ ამ ცვლილებებმაც დაგვანახა. პირველ რიგში, ამის მაჩვენებელია ის, რომ პოლიტიკურ არენაზე დაბრუნდა ირაკლი ღარიბაშვილი. თვითონ ის ფაქტიც, რომ ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება აუცილებელი გახდა, იმას მიანიშნებს, რომ ბევრი რამ არის სხვაგვარად შესაფასებელი და შესაცვლელი.

***– ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, პარტია უნდა გაერთიანდესო. თუკი ივანიშვილმა ვერ შეძლო გაერთიანება, ვინც პარტიიდან გავიდა, მათთვის გამაერთიანებელი ვერ იყო, ღარიბაშვილი როგორ შეძლებს ამას?***

– ღარიბაშვილი ამ საქმეში მარტო ხომ არ იქნება. ღარიბაშვილი იქნება ბიძინა ივანიშვილთან და „ოცნების“ სხვა ლიდერებთან ერთად, პარტიის გენერალური მდივანი იქნება, აღმასრულებელი მდივანი თუ სხვა. ვფიქრობ, არსებულმა მოცემულობამ დღის წესრიგში დააყენა ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების საკითხი.

***– ფაქტობრივად, უმრავლესობაში განხეთქილების ვაშლად სასამართლო და სახელშელახული მოსამართლეები იქცა. სასამართლომ და ირაკლი კობახიძემ „ოცნება“ განხეთქილებამდე და ლამის გახლეჩამდე მიიყვანეს. ამ სიტუაციაში რა შეიძლება იყოს გაერთიანების საწინდარი?***

– ირაკლი ღარიბაშვილმა ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა ამ მოსამართლეებთან დაკავშირებით, როდესაც მან აღნიშნა, რომ ყოველგვარი კითხვის ნიშანი უნდა იყოს მოხსნილი. თუ რომელიმე პერსონასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები, პასუხი უნდა გაეცეს. ახლა პარლამენტი მუშაობს კრიტერიუმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ვერც ერთი ადამიანი უზენაეს სასამართლოში ვერ უნდა მოხვდეს სერიოზული შერჩევის გარეშე.

ადამიანებს უზენაეს სასამართლოში განსაკუთრებით სანდო მოსამართლეები უნდა ეგულებოდეთ. მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.

***– ეგ გასაგებია, მაგრამ იმას რა ეშველება, ვინც უკვე უვადოდ დაინიშნა? ფაქტობრივად, ყველა სახელშელახული და სკანდალური მოსამართლე უკვე უვადოდ არის დანიშნული.***

– პირველ და სააპელაციო სასამართლოებში უვადოდ დანიშნულია 160-მდე მოსამართლე. ვფიქრობ, აქაც შეიძლება კანონთან დაკავშირებით დაფიქრება. მათ შორის, უვადო მოსამართლეებთან დაკავშირებით კანონში შემოსატანია ისეთი ჩანაწერი, რომელიც უვადოდ დანიშნული მოსამართლეების მისამართით კითხვის დასმის საშუალებას მოგვცემს.

***– რას გულისხმობთ?***

– ადამიანისთვის უვადოდ დანიშვნა, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მის მიმართ კანონმდებელს კითხვების დასმა არ შეეძლოს. კანონმდებლობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი ნორმები, რომ მათ მიმართაც დაისვას კითხვები და თუ პასუხები საკანონმდებლო ორგანოსა და საზოგადოებისთვის მისაღები არ იქნება, შესაძლებელი უნდა იყოს, მათ მიმართ დისციპლინარული ზომა თუ საკადრო ცვლილებები გატარდეს.

***– ამბობთ, კითხვის დასმაც უნდა იყოს შესაძლებელი და თუ საფუძველი იქნება, მისი მოსამართლედ უვადოდ დანიშვნის გადახედვაც, მაგრამ ირაკლი კობახიძეს უვადოდ დანიშნულების მიმართ რაიმე ზომის გატარებაზე სიტყვის გაგონებაც რომ არ უნდა?***

– ამ შემთხვევაში პარტიული მიდგომის ცვლილებები, პოლიტიკის ცვალებადობა, რაც გამოიხატა პარტიის პოლიტიკურ მდივნად ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებაში, მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. ეს გვაძლევს საშუალებას, ძალიან ბევრი საკითხი სხვა კონტექსტში იქნას გააზრებული. ისეთი გადაწყვეტილებები არ უნდა მივიღოთ, რაც ჩვენი მოსახლეობის თვალში დაგვაზარალებს.

სასამართლოს თემა განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა. ამიტომ პარტიულ ისტებლიშმენტსაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება.

***– ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობა იყო სისხლიანი რეჟიმი. იმ პერიოდში სასამართლო შესისხლხორცებული იყო, ზოგადად, რეჟიმთან, როგორც ერთი გუნდი, ისე წყვეტდნენ საკითხებს, ისე აპატიმრებდნენ და უსჯიდნენ. ეს შეფასება, მით უმეტეს, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის „ოცნების“ უმრავლესობის გადაწყვეტილებასთან, რომელმაც იმ რეჟიმის დანაშაულებრივად შეფასების გადაწყვეტილებას ხმა არ მისცა?***

– ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში მოვიდა, როგორც ოქროს სათადარიგო მოთამაშე. ასეთი რანგით არის ის წასული. ოქროს სათადარიგო მოთამაშე იმას ნიშნავს, რომ ის პროცესებში აქტიურად არ იყო ჩართული. ამიტომ მას, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დასჭირდება, რომ ფორმაში შევიდეს.

პოლიტიკურ ფორმაში შესვლის შემდგომ მისი ჩართულობის კოეფიციენტი და შედეგიანობის მარგი ქმედების კოეფიციენტი მაღალი იქნება. მაინც ყველაფერი დროის ფაქტორია, მაგრამ ახლა დროის გაჭიმვის დრო არ არის. ყველაფერი ფორსირებულად უნდა მოხდეს.

***– დრო არ არისო ამბობთ. ამ დროს სკანდალები სკანდალებზე ეწყობა და დაუსრულებელ სკანდალებში ეხვევა „ოცნება“. მაგალითად, ახლა მძიმეწონიანი შს მინისტრი გახარია, რომელსაც ზოგი პრემიერობასაც კი უწინასწარმეტყველებდა, სკანდალში გაეხვია ხაზარაძესთან დაკავშირებით. ასეთი სკანდალებიანი სიტუაცია ისეთ აზრს ბადებს საზოგადოებაში, რომ ეს გუნდი წასასვლელია.***

– სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრდა უპასუხისმგებლო განცხადებების ტირაჟირების ძალიან მავნე პრაქტიკა – მე ვიტყვი და მერე იმან ამტკიცოს, რომ ასე არ იყო. ამიტომ, ვფიქრობ, სანამ არ დადგენილა ამ დოკუმენტის რეალურობა, თაბახის ფურცლებზე ამობეჭდილ ტექსტში ყველას შეუძლია რაღაც დაწეროს. ე.წ წერილებზე კომენტარის გაკეთება სწორი არ არის. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანების წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც ამით პრობლემის შექმნა სურს. ამდენად, ქართულ პოლიტიკაში ეს უნდა დასრულდეს. ამ მიზნით მივმართავ პროკურატურას, გამოძიებამ ძალიან სწრაფად უნდა დაადგინოს ამ წერილთან დაკავშირებული გარემოებები და ის, თუ რა განვითარება შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას.

***– პროკურატურამ ამ საქმიდან, ფაქტობრივად, ხელები დაიბანა, დედანი არ არის, წარდგენილ დოკუმენტს არც თავი აქვს, არც – ბოლო – ხელმოწერები და სხვა ნიშნები არ აქვს და გამოძიება არ გაგრძელდება, ვერც ექსპერტიზას ჩაატარებს. სამაგიეროდ, ხაზარაძე აცხადებს, რომ მას დედანი ექსპერტიზისთვის ლონდონში აქვს გაგზავნილი. რომ არ იჯერებენ, თვითონ ხაზარაძეს შეეძლო ეს მოეგონებინა?***

– ვერაფერს ვერ გამოვრიცხავ. ამ შემთხვევაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მინდა აბსოლუტურად ობიექტურად შევაფასო არსებული რეალობა და აქედან ამოვიდე. არა მგონია, ამ სიტუაციაში გამოძიებისა და დასკვნის გარეშე რაღაც განცხადებების გაკეთება სწორი იყოს.

***– ზოგადად ხაზარაძესთან დაკავშირებულ მოვლენებს, ალბათ, თვალყურს ადევნებთ. რა შთაბეჭდილება გრჩებათ? ახლა ხელისუფლებას რაში სჭირდებოდა ხაზარაძის სკანდალები?***

– არც ერთ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყანაში არის ხელისუფალი და მმართველი პოლიტიკური ძალა, ასეთი აჟიოტაჟები (მით უმეტეს, რომ ოპოზიციური ტელევიზია ქმნის სტრესულ სიტუაციას, ხელისუფლებას დღედაღამ თავის მართლების სიტუაციაში აყენებს), რა თქმა უნდა, საზოგადოებაზე დადებითად არ მოქმედებს.

ამიტომ პროკურატურას განსაკუთრებული მონდომება სჭირდება, რომ ეს საქმე გამოიძიოს. პროკურატურის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც არის, რომ აქ ძალიან მალე ყველაფერი გამოტანილი იყოს სამსჯავროზე.



## გიორგი ქადაგიძე პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს

„კურიერის“ ინფორმაციით, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს. ქადაგიძე საგამოძიებო უწყებაში დღეს უნდა მივიდეს.

არსებული ინფორმაციით, საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებს ქადაგიძესთან კითხვები, თ ჩ ბანკის საქმესთან დაკავშირებით აქვთ.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი პროკურატურაში ძირითად საქმეზეა დაბარებული, რომელიც ფულის გათეთრებას ეხება და არა მუქარის წერილთან დაკავშირებით.

# ტკიპების სეზონი იწყება

ლელა მდივანი



მართალია გრიპის შემთხვევებმა დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით, დაახლოებით ორ-ნახევარჯერ იკლო, თუმცა ახლა H3N2 და B ტიპის ვირუსია გავრცელებული. რიგში კი, როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პაატა იმნაძე აცხადებს, ტკიპების სეზონი დგას, რაც ამ ვირუსებზე არანაკლებ საყურადღებოა. იმნაძის თქმით, გრიპის სეზონი აპრილის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება და ზაფხულის მოახლოებამდე დაიწყება.

რა გართულებები ახლავს ტკიპების სეზონს, როგორია ექიმების რეკომენდაცია და რით განსხვავდება აქამდე არსებული ვირუსებისგან ეს ინფექცია, ამაზე „ახალ თაობასთან“ ინფექციონისტი მაია ზალდასტანიშვილი საუბრობს.

**მაია ზალდასტანიშვილი, ინფექციონისტი:**

– საუბარია ჰემორადიულ ცხელებებზე, რომელიც შესაძლოა მაშინ გამოვლინდეს, როცა დათბება და მწერები გამოვლენ გარეთ. მაშინ მოხდება გავრცელება. ეს ამ წუთას არის ვარაუდის დონე და ნამდვილად არ არის დაზუსტებული, იქნება თუ არა ასე. ეს გაზაფხულის პერიოდიდან იწყება ხოლმე.

***– როგორ ტკიპებზეა საუბარი. ინფექციის გადამტანი არის თუ არა, როგორ უნდა განვასხვაოთ?***

– არსებობს ინფექციის გადამტანი ტკიპები, რომელიც დათვალიერებისას შეიძლება აღმოჩნდეს ერთი და იგივე სახის ტკიპა, თუმცა ერთი იყოს გადამტანი და მეორე არ იყოს. ასე რომ, გარეგანი დათვალიერებით და გარეგნული ნიშნებით მათი იდენტიფიცირება და გამოცნობა არ შეიძლება. თუ მოხდა პაციენტის დაავადების განვითარება, როგორიცაა ცხელება, სისუსტე, პირველადი აფექტის ადგილი დაფიქსირდა, მაშინ უნდა ჩაუტარდეს სათანადო კვლევა და პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

***– ნაკბენებს გართულება მოსდევს ხოლმე? ამ ინფექციის გადამტანი ტკიპის ნაკბენი ჩვეულებრივისგან როგორ უნდა გავარჩიოთ?***

– მაგალითად, ნაკბენი, რომელიც არ გამოვიდა, დარჩა ერთ ადგილას, რომელიც გარედან ისინჯება ან ხედავს თვითონ პაციენტი, ასეთია ინფიცირებული ტკიპას ნაკბენი. მაგალითად, კოღოს ნაკბენი ყველამ ვიცით როგორია და თუ მის ნაკბენს ვერ მივამსგავსებთ, ამ შემთხვევაში ექიმს უნდა მივმართოთ. პირველად ნაკბენს ნახავს ექიმი, თუ ინფიცირებული ტკიპას ნაკბენია, ორ-სამ კვირაში უკვე შეიძლება ანალიზის გაკეთება და შემდეგ ხდება მისი დაფიქსირება. უამრავი იყო ბორელიოზის შემთხვევები წინა წელს, მაგრამ საბედნიეროდ, არც ერთი დაავადება არ განვითარდა. მხოლოდ იყო კანის ბორელიოზი და ალაგდა ყველაფერი უკვალოდ.



***– შედარებით მტკივნეული ხომ არ არის მისი ნაკბენი?***

– მტკივნეული არ არის მაინცდამაინც, მაგრამ კბენას გრძნობს, რა თქმა უნდა, პაციენტი.

***– გადამდები ინფექციაა?***

– არა, ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის, თუმცა ჰემორადიული ცხელებით მყოფი პაციენტის ექსპლემენტები უკვე ინფიცირების წყაროა და შეიძლება მედპერსონალიც დაავადდეს.

***– ამისთვისაც აცრა ხომ არ არის საჭირო, როგორც წითელას და ც1№1 ტიპის ვირუსისას იყო?***

– არა, აცრა ამ შემთხვევაში არ ხდება.

***– გამოდის, პრევენციისთვის არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია?***

– პირველ რიგში, მწერებით სავსე ადგილს უნდა მოვერიდოთ.

***– რა გართულება შეიძლება მოჰყვეს ამას? სიკვდილიანობას იწვევს?***

– ძალიან ბევრი სახის გართულება შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, შეიძლება ენცეფალიტი მოჰყვეს, შეიძლება სისხლდენა ან სისხლჩაქცევა და სხვა.

***– მაგალითად, ც1№1 გართულებული სახით იმას ჰქონდა, ვისაც ღვიძლის ან გულსისხლძარღვთა დაავადებები ჰქონდა. ამ შემთხვევაში როგორ იქნება?***

– ც1№1 იწყება და მთავრდება და ამ შემთხვევაში, ავადმყოფს შეიძლება არანაირი წინასწარი ფონი არ ჰქონდეს. შეიძლება ძალიან ჯანმრთელ ადამიანსაც დაემართოს და ცუდად დამთავრდეს.

***– ასეთი სხვადასხვა ტიპის ვირუსების ამ რაოდენობის შემთხვევები აქამდეც ყოფილა საქართველოში? როგორ გგონიათ, ვირუსების ასეთი ტალღა რატომ მოგვაწყდა, რა არის გამომწვევი ფაქტორები?***

– საზოგადოების ამდენი ინფორმირებულობა, მე ვფიქრობ, არ არის საჭირო. პანიკას იწვევს ეს. შარშანწინ იყო ტკიპის ნაკბენის შემთხვევები და სრულიად საქართველო იყო დაძრული. თუ სადმე ვინმეს კოღომ უკბინა ან ბალახმა გაკაწრა, იყვნენ ჩვენსკენ მომართულები. ასეთი შემთხვევები ყოველთვის იყო. უბრალოდ იდენტიფიცირება არ ხდებოდა და არ ექცეოდა მედიის ყურადღების ცენტრში. მედია იმაზე მეტ დროს უთმობს ასეთ შემთხვევებს, ვიდრე საჭიროა.

# სერგო მეთოფიშვილი: „ბესელიასთვის პირსისხლიანი ახლა გავხდი? ლევან გოგიჩაიშვილს ადამიანის დაჭრა ჯიბეში ჩაუდეს?“

– მინდა ვკითხო ქალბატონ ეკა ბესელიას, 2 წელი ვისხედით ერთ მაგიდასთან, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელიც შეიქმნა სასამართლო რეფორმირების თვალსაზრისით, მაშინ არ ვიყავი პირსისხლიანი და წინა რეჟიმის მოსამართლე? – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა სერგო მეთოფიშვილმა განუცხადა.

ის გამოეხმაურა დეპუტატების: ლევან გოგიჩაიშვილის, გედევან ფოფხაძისა და ეკა ბესელიას საჩივარს, რომლითაც მათ მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების – სერგო მეთოფიშვილისა და დიმიტრი გვრიტიშვილის წინააღმდეგ, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართეს და აღნიშნა, რომ მისი განცხადებები პოლიტიკურ შინაარსს არ შეიცავს.

როგორც მეთოფიშვილმა თქვა, ჩვეულებრივად მიღებული საერთაშორისო პრაქტიკაა, როდესაც მოსამართლეებსა და სასამართლო სისტემაზე თავდასხმის შემთხვევაში საბჭო იცავს ინდივიდუალურ მოსამართლეებს და შესაბამის განცხადებებს აკეთებს.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნაში ამბობს, რომ დროული და ეფექტური რეაგირება უნდა მოახდინონ იუსტიციის საბჭომ და მოსამართლეთა ასოციაციამ.

– 2 წელი ხან ბორჯომში, ხან აჭარასა და თბილისში სამუშაო ჯგუფში, ძალიან კარგი და ტკბილი სალმით ვხვდებოდით ერთმანეთს. მაშინ არ ვიყავი პირსისხლიანი? მაშინ არ ვიყავი წინა რეჟიმის მოსამართლე?

ეს არის ზუსტად ორმაგი სტანდარტი. მე არ ვიცი, ეკა ბესელიას რა პრობლემა შეექმნა და არც მაინტერესებს, თუმცა გუნდში რაღაც პირადი პრობლემა შეექმნა, მოსამართლეების თემა კი ხელოვნურად იმიტომაც ააგორა. ჰკითხეთ, რატომ იჯდა სერგო მეთოფიშვილთან და იგივე მურუსიძესთან და საბჭოს სხვა მოსამართლე წევრებთან? ერთხელ არ ამოუღია ხმა, რატომ სხედან ესენი აქ. მაშინ ძალიან ტკბილად და მშვიდად ვთანამშრომლობდით, ჩვენს პოზიციას აქტიურად იზიარებდა. საინტერესოა, მერე რა მოხდა, ახლა გაიღვიძა?




მოსამართლეების თემა კარგი თემაა და დრო ჩაუვარდა ხელში, პოპულისტ ადამიანს მეტი არაფერი სჭირდება. სრულიად კანონიერად წარდგენილ სიაზე ასეთი აჟიოტაჟი ატეხა. ეს არის ორმაგი სტანდარტი. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი იყო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე. ბესელიას მე სხვანაირად ვიცობდი და ახლა სულ სხვანაირად დავინახე, ვინ არის. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიტყვი, რომ ამ ადამიანმა ნიღაბი ჩამოიხსნა და ნათელი გახდა, თუ ვინ არის, – განაცხადა სერგო მეთოფიშვილმა.

რაც შეეხება დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილს, სერგო მეთოფიშვილის თქმით, გოგიჩაიშვილი, მისივე წარსულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, განაწყენებულია სასამართლოს სისტემაზე.

– მასთან დაკავშირებით ერთ რაღაცას ვიტყვი, მაგას წინა მთავრობის დროს, ადამიანის დაჭრა ჯიბეში ჩაუდეს? ალბათ, ამის გამო სასამართლო სისტემაზე რატომღაც განაწყენებულია, რატომ დარჩა მისი განაჩენი კანონიერ ძალაში. თუ მართალია, განაჩენის გადასინჯვაზე განაცხადი რატომ არ შეაქვს? თუ მართალია, თავი გაიმართლოს, – აღნიშნა სერგო მეთოფიშვილმა.

დეპუტატ გედევან ფოფხაძეზე კი მოსამართლე ამბობს, რომ ამ დეპუტატზე განცხადების გაკეთება გარკვეული მიზეზების გამო არ უღირს.

– გედევან ფოფხაძეზე საუბარი არ მინდა იმიტომ, რომ ეს ადამიანი მართლაც არ არის ღირსი, რაიმე სახის კომენტარი გავაკეთო იმის მერე, რაც თქვა. მან თქვა, რომ ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებიც ციხეში უვადოდ უნდა ისხდნენ და არა უვადოდ გამწესდნენო.

მისი დონე ალბათ, ამ ფრაზიდან გამოჩნდა. სადმე თუ უნახავთ ისეთი სასამართლო სისტემა, სადაც დეპუტატი ასე უსაფუძვლოდ, დაუბალანსებლად ლანძღავდეს იმ სასამართლო სისტემას, რომელიც ყველა საერთაშორისო ექსპერტის დასკვნებითა და კვლევების მიხედვით, რეგიონში პირველ ადგილზეა. ასეთ დროს სასამართლომ არაფერი უპასუხოს, სად ნახეთ?!

უბრალოდ, არ მინდა, რომ მათ სასამართლოში ვუჩივლო. მერე იტყვიან, რომ სასამართლოს იყენებს საბჭოს წევრი და ა.შ. არ მინდა ამის გაკეთება. ვგულისხმობ გოგიჩაიშვილს, ბესელიას და ფოფხაძეს. მათი განცხადებები არის ლანძღვა და არა კრიტიკა, – განაცხადა სერგო მეთოფიშვილმა.

## ეკა ბესელია: „მეთოფიშვილი სამუშაო ჯგუფში ერთად მუშაობის დროსაც პირსისხლიანი მოსამართლე იყო“



– კი, მაშინაც იყო მეთოფიშვილი პირსისხლიანი მოსამართლე. არავის მოუწვევია მეთოფიშვილი იმ ჯგუფში, – ასე უპასუხა დეპუტატმა ეკა ბესელიამ სერგო მეთოფიშვილის მიერ მისი მისამართით დასმულ კითხვას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა ბესელიას კითხვით მიმართა, რატომ არ ამოიღო მის წინააღმდეგ ხმა, როდესაც სასამართლოს რეფორმის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფში ორი წლის მანძილზე ერთ მაგიდასთან მუშაობდნენ.

მეთოფიშვილმა ბესელიას ასევე ჰკითხა, მაშინაც მიიჩნევდა თუ არა მას პირსისხლიან მოსამართლედ.

– კი, მაშინაც იყო მეთოფიშვილი პირსისხლიანი მოსამართლე. არავის მოუწვევია მეთოფიშვილი იმ ჯგუფში, თავად მობრძანდა – იუსტიციის საბჭოს წარმოადგენს, სამწუხაროდ. იმიტომ არ წარმოადგენს ის იუსტიციის საბჭოს, რომ ჩვენ ავირჩიეთ, არამედ ის არის ბატონი ჩინჩალაძის დამსახურებით იქ.

ძალიან სამწუხაროა, რომ მისნაირი მოსამართლეები არიან დღეს უვადოდ დანიშნულები, რომელთაც ადამიანის ბედი უნდა განსაჯონ. მისი ბიოგრაფიის ადამიანი ამდენს არ უნდა ლაპარაკობდეს.

მე გვარებით არ ვსაუბრობ, ჩემი პოლიტიკური განაცხადი 2016 წელს, როდესაც ის ძალადობრივი რეჟიმი შევაფასეთ და პარლამენტში მივიღეთ სპეციალური დადგენილება, იქ წერია, რომ ძალადობრივ რეჟიმს ემსახურებოდა ყველა ის მოსამართლე, რომელიც ასრულებდა უკანონო დავალებებს, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

## რატომ გარდაიცვალა CO-თი მამაკაცი გლდანში

### ყაზტრანსგაზ-თბილისის განცხადება



გლდანში CO-თი ერთი ადამიანის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ინფორმაციას ავრცელებს.

კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ აფრთხილებს გაქირავებული და დაგირავებული ბინების მეპატრონეებს, სასწრაფოდ ჩახსნან ღია წვის კამერიანი წყალგამაცხელებლები (ე.წ. კალონკები) და გაზგამათბობლები.

ასევე, ნუ გამოიყენებენ კორპუსის სავენტილაციო არხებს საკვამლე მილების დასაერთებლად, რადგან ამით კორპუსში მცხოვრებ სხვა მობინადრეების სიცოცხლეს სპობენ.

„წუხელ გლდანის III ა მკრ-ში, აკრძალული ღია წვის კამერიანი წყალგამაცხელებლის მოხმარების შედეგად, ნაქირავებ ბინაში მცხოვრები ერთი ადამიანი CO-თი გარდაიცვალა, მეორე კი უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამ ბინაში დამონტაჟებული კუსტარული წყალგამაცხელებლის საკვამლე მილი ბინის მეპატრონეს კორპუსის სავენტილაციო არხზე ჰქონდა მიერთებული, რამაც CO-თი ამავე კორპუსის პირველ სართულზე მცხოვრები ორი მეზობლის მოწამვლაც გამოიწვია. „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ადგილზე მისულმა თანამშრომლებმა კუსტარულად დამონტაჟებული აკრძალული ღია წვის კამერიანი დანადგარი ჩაჭრეს.

კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ აფრთხილებს გაქირავებული და დაგირავებული ბინების მეპატრონეებს! სასწრაფოდ ჩახსენით ღია წვის კამერიანი წყალგამაცხელებლები (ე.წ. კალონკები) და გაზგამათბობლები, ასევე, ნუ გამოიყენებთ კორპუსის სავენტილაციო არხებს საკვამლე მილების დასაერთებლად, რადგან ამით კლავთ თქვენს კორპუსში მცხოვრებ სხვა მობინადრეებს. გაუფრთხილდით თქვენი ოჯახისა და მეზობლების უსაფრთხოებას.

სტატისტიკის მიხედვით, CO-თი მოწამვლისა და გარდაცვალების 70% გაქირავებულ და დაგირავებულ ბინებში ხდება, რადგან ბინის მეპატრონეები ნაკლებად იცავენ უსაფრთხოებას იქ, სადაც თავად არ ცხოვრობენ, რაც დანაშაულია, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## დავით კობახიძე რეანიმაციაშია

ახალგაზრდა მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელმაც 5 მარტს თემქის პოლიციასთან თავის დაწვა სცადა, სტაბილურად მძიმეა.

დავით კობახიძე მესამე ხარისხის დამწვრობითა და სასუნთქი გზების დაზიანებით რეანიმაციაში იმყოფება.

მამაკაცმა პროტესტის უკიდურეს ზომას მისი განმარტებით, პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ზეწოლის გამო მიმართა; მან ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა „კურიერის“ კამერის წინ სცადა.

მანამდე მამაკაცი განყოფილებაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.



## „ნიკორაზე“ თავდასხმისთვის ზუგდიდში 3 პირი დააკავეს

ზუგდიდში სამართალდამცველებმა ხულიგნობის ბრალდებით 3 პირი დააკავეს.



გამოძიებამ დაადგინა, რომ „ნიკორას“ ქსელის ერთ-ერთ მაღაზიაში გამყიდველს, კონსულტანტსა და დაცვის თანამშრომელს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამი პირი დაესხა.

შემთხვევა საჯვაროს უბანში, სოხუმის ქუჩაზე 5 მარტს მოხდა. ინციდენტს წინ შელაპარაკება უძღოდა.

დაპირისპირების შედეგად დაზიანდა მაღაზიის ინვენტარი და მსუბუქად დაშავდნენ თანამშრომლები, ორი მათგანი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საქმეზე გამოძიება 239-ე, ხულიგნობის მუხლით მიმდინარეობს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში სამივე დაკავებულს 2-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## ყალბი 100 და 200 ლარიანების გასაღებისთვის 3 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ფულის გასაღების ორ ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში ბრალდებულმა კახეთის რეგიონში 200 ლარის ნომინალის ყალბი კუპიურა გაასაღა. ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალდებულებმა, ქალაქ თბილისში და შიდა ქართლის რეგიონში მდებარე სავაჭრო ობიექტებში ყალბი 100 და 200-ლარიანი კუპიურები გაასაღეს.



გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებული პირებისგან ამოღებულია ჯამში 4.150 ლარის ოდენობის სხვადასხვა ნომინალის ყალბი კუპიურა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

## იაგო ნებიერიძის სასამართლო გადაიდო

გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობაში ბრალდებული იაგო ნებიერიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვა გადაიდო.



მიზეზი სხდომაზე ბრალდებულის გამოუცხადებლობა გახდა.

ბრალდებულის ადვოკატი მარიამ პაპოშვილი აცხადებს, რომ მისთვის უცნობია ნებიერიძეს ჯანმრთელობის რა პრობლემა აქვს.

– ნებიერიძე ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა, არანაირ გაჭიანურებას არ აქვს ადგილი, მივაკითხავ და გავიგებ, – განაცხადა პაპოშვილმა.

ნანიკო ბერიაშვილის მამა, მიშა ბერიაშვილი მკვლელობაში ბრალდებულისთვის სამუდამო პატიმრობას ითხოვს. შვილმოკლული მამა დარწმუნებულია, რომ იაგო ნებიერიძე დანაშაულის ჩადენისას მარტო მოქმედებდა.

– ერთადერთი მოლოდინი მაქვს, სამუდამო უნდა მისცენ. ეს მოთხოვნა მხოლოდ მე არ მაქვს, მთელ საქართველოს აქვს, რომ სამუდამო მისცენ, თუ არადა, საერთოდ გამოუშვან, არც 14 და 15 წელი მინდა და არც არაფერი. როგორც მითხრეს, ყველაფერში მარტო მოქმედებდა. რასაც აკეთებდა, აცნობიერებდა ყველაფერს, – განაცხადა ბერიაშვილმა.

## რუსთავში 45 წლის მამაკაცს დენმა დაარტყა და მოკლა

რუსთავში 45 წლის მამაკაცი ქუჩაში გარდაიცვალა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მამაკაცი მესხიშვილის ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა, როდესაც მას დენმა დაარტყა, რაც, სავარაუდოდ, მისი დაღუპვის მიზეზი გახდა.

– სასწრაფომ უკვე შემოიყვანა გვამი, შუახნის მამაკაცი, პაციენტს მიღებული აქვს ელექტროტრავმა ელექტროშოკით, რამაც გამოიწვია სიკვდილი, სავარაუდოდ, პაციენტი ადგილზე იყო გარდაცვლილი, მაგრამ ფორსმაჟორული სიტუაციის გამო შემოყვანილი იქნება ჩვენს კლინიკაში, – განაცხადა „ინფო რუსთავთან“ ექიმმა მარინა კავთუაშვილმა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ რუსთავის საპატრულო და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

ცხედარი ამ დროისთვის პროზექტურაში გადაასვენეს.

# რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე სტალინი 70%-ს მიიღებდა, პუტინი — 25%-ს

## სტალინის საფლავთან ექსცესი მოხდა

რუსეთში იოსებ სტალინის სიკვდილის 66-ე წლისთავი აღნიშნეს. კომუნისტებმა რიგ ქალაქებში სტალინის ძეგლებთან თუ ბიუსტებთან ყვავილები დააწყვეს.

მოსკოვში, კრემლის კედელთან, სადაც სტალინია დაკრძალული, ექსცესი მოხდა.





კომუნისტები სტალინის საფლავთან მივიდნენ. ამ დროს მოძრაობა „დეკომუნიზაციის" აქტივისტები გამოჩნდნენ.

ერთ-ერთმა აქტივისტმა სტალინის საფლავზე დაჭყლეტილი ყვავილი ისროლა და შესძახა: ეს შენ, მკვლელო!

ატყდა ჩოჩქოლი. კომუნისტებმა მის საცემად გაიწიეს. პოლიციამ აქტივისტი დააკავა. ის პოლიციის რაიგანყოფილებაში წაიყვანეს, ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ კი გამოუშვეს.

ცნობილმა რუსმა ტელეწამყვანმა დორენკომ განაცხადა, რომ მოსკოვში კრემლის კედელთან სტალინის საფლავის არსებობა სამარცხვინოა.

— სტალინი ისეთივე ბოროტმოქმედია, როგორც ჰიტლერი! ის მოსკოვიდან უნდა მოაშორონ, — ამბობს დორენკო.

რუსების უმრავლესობა ამას არ ეთანხმება. ლევადა-ცენტრის გამოკითხვით, დღეს პრეზიდენტობაზე კენჭი რომ იყარონ სტალინმა და პუტინმა, 70% ხმას სტალინს მისცემს, 25% — პუტინს. 5%-ს ეს საკითხი არ აინტერესებს.

განსხვავებული სურათია უკრაინაში. იქ სტალინს მოსახლეობის 88% სისხლიან ტირანად მიიჩნევს.

# აშშ ევროპაში თავის სამხედრო ძალებს ზრდის



აშშ-ის სენატის წინაშე ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების სარდალი გენერალი სკარამოტი წარდგა. მან შექმნილი საერთაშორისო ვითარება მოკლედ მიმოიხილა და განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკისთვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს.

— ამას სათანადო რეაგირება სჭირდება, — თვლის გენერალი.

სკარამოტიმ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უკრაინისთვის სამხედრო დახმარება უნდა გაიზარდოს. კერძოდ, კიევს რიგი საზღვაო-სამხედრო საშუალებებიც უნდა მიაწოდონ.

— უკრაინას უახლესი სამხედრო ტექნიკა უნდა მივაწოდოთ. თანაც უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე ეს აქამდე იყო გათვალისწინებული, — ამბობს სკარამოტი.

ამერიკელი გენერლის გამოსვლა მოსკოვს შეუმჩნეველი არ დარჩენია. რუსეთის ფედერალური საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბაროვმა ევროპაში ამერიკული კონტინგენტის გაზრდას ცუდი ტენდენცია უწოდა.

— ეს სამხედრო კონფრონტაციის შესაძლებლობას გაზრდის, — განაცხადა ჯაბაროვმა.

# გერმანია: რუსეთის მოქალაქეს ბრალი ტერორიზმში ედება



გერმანიის პროკურატურამ რუსეთის მოქალაქე ალის ბრალი წაუყენა ტერორიზმში.

საუბარია 2016 წლის აგვისტოს ტერაქტზე, რომელიც ბერლინის ბაზრობაზე განხორციელდა და 12 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბერლინის ტერაქტი ტუნისელმა ომრიმ განახორციელა. სავარაუდოდ, ალი და მისი ერთი თანამზრახველი მას ამ აქციისთვის ამზადებდნენ.

ეს თანამზრახველი საფრანგეთში დააკავეს.

# გულნარა ქარიმოვა საერთო რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს



როგორც ცნობილია, უზბეკეთის პირველი პრეზიდენტის ქალიშვილი გულნარა ქარიმოვა კორუფციაში დამნაშავედ ცნეს. სასამართლომ მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ამავე დროს, მხედველობაში მიიღეს, რომ ქარიმოვა პირველი პრეზიდენტის ქალიშვილია და საერთო რეჟიმის კოლონიაში ყოფნის ნაცვლად, შინა პატიმრობა აკმარეს.

გულნარას სასჯელი თავისი ქალიშვილის ბინაში უნდა მოეხადა. მას იქიდან დაუკითხავად გასვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ რეჟიმს ხშირად არღვევდა.

ამიტომ გულნარა ქარიმოვა საერთო რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს.

# ამერიკელი კონგრესმენები ტრამპისა და პუტინის კონტაქტების თაობაზე მასალებს მოითხოვენ




აშშ-ის კონგრესის კომიტეტების ხელმძღვანელები შიფრი, კამინგი და ელიოტი ტრამპის და პუტინის კონტაქტების თაობაზე დოკუმენტებს მოითხოვენ.

მათ სახელმწიფო დეპარტამენტს სპეციალური წერილით მიმართეს.

წამყვანი ამერიკული მედია კარგა ხანია აცხადებს, რომ ტრამპმა პუტინთან კონტაქტების თაობაზე რიგი დეტალი დამალა. კონგრესმენები აცხადებენ, რომ ეს ინფორმაცია უნდა შემოწმდეს და თუ ის დადასტურდა, პრეზიდენტმა პასუხი უნდა აგოს.

# აშშ-მ ვენესუელას მიმართ სანქციები გააგრძელა



აშშ-მ ვენესუელის მიმართ სანქციები გააგრძელა.

სანქციები ჯერ კიდევ 2015 წელს შემოიღეს. პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ ვენესუელაში ვითარება არ გაუმჯობესებულა, მეტიც, მოვლენები ყველაზე საშიში სცენარის მიხედვით ვითარდება.

— ის, რაც ვენესუელაში ხდება, ამერიკისთვის საშიშროებას წარმოადგენს, — განაცხადა ტრამპმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა", ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჩემპიონი ისევ იგებს, წაუგებელ ტორპედოში პრობლემებია

**ლოკომოტივი-საბურთალო 1:3**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 სიხარულიძე (11), 1:1, 1:2 შინდაგორიძე (16პ, 63), 1:3 როლოვიჩი (70)

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, ანდრონიკაშვილი (ძებნიაური 10), უბილავა, სამურკასოვი (კობახიძე 78), შონია, კირკიტაძე, არდაზიშვილი, ჯიქია (ინჯგია 67), სიხარულიძე

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ჩაბრაძე (თევზაძე 78), კაკუბავა, შინდაგორიძე, დიასამიძე, ტერა (როლოვიჩი 57), გორგიაშვილი, დვალიშვილი (ცნობილაძე 69), გი

დედაქალაქურ დერბიში ქვეყნის ჩემპიონი საბურთალო ლოკომოტივს დაუპირისპირდა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

საბურთალოელები როგორც პირველ, ასევე მეორე ტაიმში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას. თუმცა, ისე მოხდა, რომ დებიუტში ლოკო დაწინაურდა – საბურთალოელთა დაცვაში შეცდომით ისარგებლა ირაკლი სიხარულიძემ და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა.

მიუხედავად ანგარიშში ჩამორჩენისა, საბურთალოელებმა ძალები მოიკრიბეს და მალევე გაათანაბრეს: მეტოქის საჯარიმოში გეგა დიასამიძემ კარგად ითამაშა, რის შემდეგაც, მეტოქე აიძულა, რომ ხელით ეთამაშა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად ლაშა შინდაგორიძემ შეასრულა – 1:1.

ცოტა ხანში ინტერს გის შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი დემეტრე ბულისკირიამ მოიგერია. ერთ-ერთ ეპიზოდში კი შინდაგორიძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, დიასამიძეს შეეძლო შედეგიანი დარტყმის განხორციელება.

მეორე ნახევარში მოედანზე სურათი არ შეცვლილა – საბურთალო მეტოქეზე უკეთ თამაშობდა. 56-ე წუთზე ჩემპიონებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ დიასამიძემ გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, ბურთი მეკარემ აიღო.

საბურთალოელებმა წინ გასვლა მაინც მოახერხეს, გოლი კი შინდაგორიძემ გაიტანა. დუბლის ავტორი დიასამიძესთან ერთად საუკეთესო იყო მინდორზე – ლაშას დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და ისე შევარდა ბურთი კარში.



მალე, დიასამიძის გამოზომილი პასის შემდეგ, ვლადიმერ დვალიშვილი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ გოლკიპერმა მოიგერია ბურთი. 2-ბურთიანი სხვაობით გასვლა სტუმრებმა მაინც მოახერხეს – შეტევა ნიკოლოზ მალიმ წამოიწყო, დიასამიძემ გააგრძელა, რომელმაც საჯარიმოში ოგნიერ როლოვიჩს უპასა. ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან შედეგიანი დარტყმა განახორციელა. მონტენეგროელმა ფორვარდმა ახალ კლუბში მეორე გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ახალწვეულმა ორივე გოლი ცვლილებიდან შესულმა გაიტანა.

საბოლოოდ, საბურთალომ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და ზედიზედ მეორე გამარჯვებას მოუყარა თავი.

**დინამო (ბთ)-ტორპედო 0:2**

**ბათუმი. ანგისა**

0:1 აზაცკი (17), 0:2 ზივზივაძე (45)

**დინამო:** ალავიძე, გ.გადრანი, მელიავა, ფაცაცია, ჩალაძე, ტეიდი (გაფრინდაშვილი 46), თევდორაძე, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, რამოსი (საბანაძე 70), რ.ჭანტურია (ილურიძე 46)

**ტორპედო:** ქვილითაია, აზაცკი, სტიეპოვიჩი, გეგეჭკორი, კობახიძე, ცინცაძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე, წიქარიძე (კაპანაძე 62), დოლიძე (ქიმაძე 75), ზივზივაძე (ჭიჭინაძე 61)

ბათუმის დინამო უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა და ადგილობრივი არენაც უმალ შეივსო – დინამოს საწვრთნელი ბაზის ტრიბუნებიც სავსე იყო და ვინც ვერ დაეტია, მოედნის დამცავი ღობის მიღმა ფეხზე მდგომნი ადევნებდნენ თვალს. ერთია, მასპინძლებმა დიდი ბრძოლის მიუხედავად მაინც წააგეს.

პირველი ტაიმი ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. ანგარიში ოლეკსანდრ აზაცკიმ გახსნა, რომელიც კუთხურის შემდეგ თავით გაუტანა მიხეილ ალავიძეს. ზედ შესვენების წინ კი, ბათუმელთა დაცვა ჩავარდა, მარჯვენა ფლანგიდან გრიგოლ დოლიძემ გაინავარდა და ზუსტი პასი მისცა კარის წინ უმეთვალყურეოდ დატოვებულ ბუბუ ზივზივაძეს – 0:2.

მეორე ტაიმში მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მომენტებიც ბლომად შექმნეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს და ზედიზედ მეორედ დამარცხდნენ.

ტორპედომ კი ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. თუმცა, შესაძლოა, ეს ამ გუნდისთვის ბოლო აღმოჩნდეს მიმდინარე სეზონში, რადგან რიონისპირულ გუნდში ფინანსური პრობლემები დაგროვდა.

გუნდის ხელმძღვანელობას ფეხბურთელების ფინანსური დავალიანება აქვს – არ გაუციათ 2 თვის ხელფასები და 2017 წლის საჩემპიონო პრემია. საუბარია დაახლოებით 1 მილიონ ლარზე. ტორპედოს ფეხბურთელები ვარჯიშზე უარს აცხადებენ და, შესაძლოა, გუნდიდან ფეხბურთელები სულ მალე წავიდნენ.

# მეფე დაემხო, დეზები მწარედ იკაწრებიან

**რეალი-აიაქსი 1:4**

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

0:1 ზიეში (7), ნერესი (18), 0:3 ტადიჩი (62), 1:3 ასენსიო (70), 1:4 შონე (72)

**რეალი:** კურტუა, კარვახალი, ვარანი, ნაჩო, კროოსი, მოდრიჩი, კაზემირო (ვალვერდე 87), ვასკესი (ბეილი 29), რეგილიონი, ვინისიუსი (ასენსიო 35), ბენზემა

**აიაქსი:** ონანა, ტალიაფიკო, ბლინდი, დე ლიგტი, მაზრაუი (ველტმანი 81), დე იონგი, ვან დე ბეკი, ზიეში, ნერესი (დოლბერგი 74), შონე (დე ვიტი73), ტადიჩი

**გაძევება:** ნაჩო (90)

ამ ფორმაციის რეალი ჩემპიონთა ლიგას ზედიზედ მეოთხედ რომ ვერ მოიგებდა, ცხადი იყო, მაგრამ ამსტერდამული მატჩის შემდეგ მეოთხედფინალში რომ გავიდოდნენ, თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა. წინააღმდეგი მხოლოდ აიაქსი და მისი გულშემატკივრები იყვნენ.

აიაქსს არც ამსტერდამში უთამაშია ცუდად, მაგრამ დამარცხდა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კი ახალგაზრდა ბიჭებმა საერთოდ დაამცირეს „სამეფო გუნდი“, რომელიც ჩემპიონთა ლიგიდან 1064 დღის მანძილზე გამოვარდნილი არ იყო.

უკვე მე-18 წუთისთვის აიაქსი ტადიჩის 2 გენიალური პასის შემდეგ იმ ანგარიშით იგებდა, რაც მათთვის სასურველი იყო. მაგრამ როდესაც მეტოქედ რეალია, მისგან გამოღვიძებას ყოველთვის უნდა ელოდო. თუმცა, რეალს, რომელმაც 10 დღეში ყველა ტიტულისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა, საღათას ძილით ჩასძინებოდა. მასპინძლებმა რამდენიმე პატარა მონაკვეთი კარგად ჩაატარეს, მაგრამ მთლიანობაში მოედანზე აიაქსი დომინირებდა – ახალგაზრდული სულისკვეთება, ჟინი და მონდომება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ამსტერდამელებმა კიდევ 2 გოლი გაიტანეს – ერთმანეთზე ლამაზები. მათ შორის, ასენსიომ ერთი კი გაიტანა, მაგრამ რეალი მეტოქის შემჩერებელი არ იყო.

მეფე დაემხო...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **დუშან ტადიჩი**

ალბათ, კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა ტადიჩმა, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა ტალანტად, მაგრამ ტოპკლუბი არ ეღირსა. რეალთან კი, სრული პროგრამით წარმოგვიდგა – 2 გენიალური პასი, შესანიშნავი გოლი, თამაშის წაკითხვა და ულამაზესი მოძრაობები.

**სანტიაგო სოლარი:**

– ძალიან მტკივნეული კვირა გვაქვს. ბოდიშს ვუხდით გულშემატკივრებს, რომლებიც რთულ მომენტებში გვამხნევებდნენ. რაც შეგვეძლო ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ყველა მოთამაშეს ბოლომდე დავუცადე. ისინი ჩემპიონთა ლიგის სამგზის გამარჯვებულები არიან, მაგრამ ამჯერად წააგეს. ეს მტკივნეული მომენტია, რომელიც კიდევ უფრო ძვირფასს ხდის იმას, რაც მათ გააკეთეს, რადგან ვიცით, როგორი რთულია ამ ტურნირის მოგება. რა თქმა უნდა, რამოსი დაგვაკლდა. არ მინდა, რომელიმე ფეხბურთელი დავადანაშაულო, მაგრამ ის ჩვენი კაპიტანია. შემეძლო თუ არა, რომ სხვა შემადგენლობა ამერჩია? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. მწვრთნელი გადაწყვეტილებას თამაშამდე იღებს. რა უნდა გავაკეთოთ ახლა? უნდა დავმშვიდდეთ და დავუპირისპირდეთ სირთულეებს, რადგან რეალი მეტია, ვიდრე ჩვენ, ყველანი. ის ყოველთვის დაბრუნდება და დაბრუნდება მხოლოდ ძლიერი.



**ერიკ ტენ ჰაგი:**

– ეს თამაში ძალიან ახლოს იყო სრულყოფილებასთან. 2 მატჩის ჯამში დამსახურებულად გავედით მომდევნო ეტაპზე. ძალიან მომეწონა ჩემი გუნდის ყურება. არ დავივიწყოთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპიდან დავიწყეთ და ჯერ კიდევ ვიბრძვით ტიტულისთვის. გვინდა, რომ ამ სეზონში სამივე ტურნირი მოვიგოთ. არ შემიძლია წილისყრაზე ზეგავლენის მოხდენა, ამიტომ ამაზე არ ვფიქრობ. ყველა შესაძლო მეტოქე დიდი კლუბია, მაგრამ რეალიც, ასეთი იყო.

**დორტმუნდი-ტოტენჰემი 0:1**

**დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი**

0:1 კეინი (49)

**დორტმუნდი:** ბიურკი, დიალო, აკანჯი, ვაიგლი, გერეირუ (პულიშიჩი 62), ვიტსელი, გიოტცე, სანჩო, ვოლფი (ლარსენი 62), როისი (დილეინი 74), ალკასერი

**ტოტენჰემი:** ლორისი, ორე, ალდერვეირელდი, სანჩესი, ვერტონგენი, დევისი, უინკსი (დაიერი 55), სისოკო, ერიკსენი (როუზი 83), სონი (ლამელა 71), კეინი

პირველ ტაიმში დორტმუნდელთა უპირატესობა ტოტალური იყო. ტოტენჰემი ყრუ დაცვაში იდგა, მაგრამ ანგარიშის შეცვლა არ მოხერხდა. უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ უგო ლორისი შესანიშნავი იყო.

მასპინძლებმა პირველ ტაიმში რომ ვერ გაიტანეს, ზეწოლის გაძლიერება მეორეში გადაწყვიტეს, მაგრამ თითქმის გასახდელიდან გამოსულებმა ჰარი კეინისგან გოლი მიიღეს.

ამ გოლით ყველაფერი დასრულდა და ბუნდესლიგის ლიდერი, რომელსაც ცუდი პერიოდი უდგას, ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა, „დეზები“ კი მეოთხედფინალში მეტოქეს ელიან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **უგო ლორისი**

ბრწყინვალედ ითამაშა „დეზების“ ფრანგმა მეკარემ. რამდენიმე ძალიან რთული ბურთი მოიგერია. საერთოდაც, ევროპის ერთ-ერთ შემტევ გუნდთან 2 მატჩში გოლი არ გაუშვა.

**ლუსიენ ფავრი:**

– 0:1 წავაგეთ, მაგრამ მთავარი მარცხი პირველ შეხვედრაში განვიცადეთ (0:3), რაც, ვფიქრობ, სულაც არ იყო აუცილებელი. ამის შემდეგ ჩვენი შანსები მკვეთრად შემცირდა. ამიტომ, ახლა გუნდს ვერაფერს ვუსაყვედურებ. გულშემატკივრები ბოლომდე მხურვალედ გვიჭერდნენ მხარს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. პირველ ტაიმში ბევრი მომენტი გვქონდა, მეორეში – რამდენიმე. გაშვებული გოლის შემდეგაც არ გავმტყდარვართ. მაგრამ, უბრალოდ, გოლი ვერ გავიტანეთ.

**მაურისიო პოჩეტინო:**

– ეს ფანტასტიკაა. საქმე გაკეთებულია, ჩვენ მეოთხედფინალში ვართ. ტოტენჰემმა ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და დამსახურებულად გავიდა შემდგომ ეტაპზე. პირველ ტაიმში ერთგვარი სიძნელეები შეგვექმნა, მაგრამ გავუძელით. საკმარისზე მეტი სახიფათო მომენტი შევაქმნევინეთ მეტოქეს საკუთარ კართან, მაგრამ ლორისი შესანიშნავი იყო. ანალიზის დრო შემდეგ დადგება. ახლა კი, უბრალოდ, მეოთხედფინალში გასვლით უნდა გავიხაროთ. ჩვენ ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიეთ. მომავალში თავისუფლად და მამაცურად უნდა ვითამაშოთ. აწი, ოცნებაც შეიძლება.

# ლიოვი ახალ ერას იწყებს



საინტერესო ისტორია ხდება გერმანიის ნაკრების თავს. ზედ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის დაწყების წინ, ბუნდესნაკრების მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა რადიკალურ საკადრო ცვლილებებს მიმართა.

ლიოვი თავის თანაშემწეებთან, მარკუს სორგთან და ოლივერ ბირჰოფთან ერთად მიუნხენში ჩავიდა და ბაიერნის ფეხბურთელებს ტომას მიულერს, მატს ჰუმელსს და ჟერომ ბოატენგს ესტუმრა. თუმცა, ეს ვიზიტი სასიამოვნო არ აღმოჩნდა თავად ფეხბურთელებისთვის – მწვრთნელმა განუცხადა, რომ ბუნდესგუნდში აღარ უხმობს.

**ლიოვმა ამ გადაწყვეტილების შესახებ მოკლე კომენტარი გააკეთა:**

– ისინი ჯერ კიდევ ტოპ-კლასის ფეხბურთელები, კლუბის სიმბოლოები არიან, მადლობა, მაგრამ ახლა ჩვენ სხვა კურსი გვაქვს აღებული.

გერმანიის ნაკრები 20 მარტს ამხანაგურ მატჩში სერბეთს, ხოლო 24 მარტს ევროპირველობის შესარჩევ შეხვედრაში ჰოლანდიას დაუპირისპირდება.

# კაქტუსის სენსაციური გამარჯვება

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართულმა მერვედფინალური სერიის მე-3 მატჩებმა ის გუნდები გაარკვია, რომლებმაც თასის გათამაშების მეოთხედფინალი შეავსეს. კაქტუსი, თსუ-ჰიუნდაი და შსს აკადემია-ტიტები – ეს გუნდები დაემატნენ მეოთხედფინალში იანვრის ბოლოს გასულ მგზავრებს, ბათუმს, ქუთაისს, დელტასა და ოლიმპს.

3 წყვილიდან ორში მეოთხედფინალის საგზურისთვის ა ლიგის გუნდი იბრძოდა, თუმცა ვერც ერთმა ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება. მიზანთან უფრო ახლოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი მივიდა, რომელმაც თსუ-ჰიუნდაის ღირსეული ბრძოლა გაუმართა და მთელი მატჩის განმავლობაში მადევარი, შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთით ადრე მეტოქეს 1 ქულით მიუახლოვდა. 73:74 ჩამორჩენილმა კავკასიელებმა 2 შეტევა გააცუდეს, რომლის დაგვირგვინების შემთხვევაში წინ გადიოდნენ, რაც თსუ-ჰიუნდაელებმა არ აპატიეს.

გუნდის ახალწვეულმა მარკუს პოზლიმ ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი თანაგუნდელს შედეგიანად უპასა და მატჩის ბედი გადაწყვიტა. მთლიანობაში კი პოზლიმ 23 ქულით ბომბარდირის ტიტული არავის დაუთმო.

ა ლიგის მეორე წარმომადგენელმა ორბიმ მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწია წინააღმდეგობა ტიტებს, მთლიანობაში კი ვერაფერი გააწყო და 51:73 დამარცხდა.



მესამე წყვილში კი გვარიანი მოულოდნელობა დაფიქსირდა: სუპერლიგაში დასარჩენად მებრძოლმა კაქტუსმა 75:69 სძლია ერთ-ერთ ლიდერ დინამოს, რომელთანაც სათასო სერიას 0:1 აგებდა. არჩილ ჟღენტის გუნდმა სერია ჯერ გაათანაბრა, გადამწყვეტ მატჩში მოპოვებული გამარჯვებით კი, ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამოელები გათამაშებას გამოთიშა.

თასის გათამაშება 12 მარტიდან, მეოთხედფინალური სერიის მატჩებით განახლდება. სერია ისევ 2 მოგებამდე იქნება.

**მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებიან:**

**კაქტუსი-ქუთაისი; ტიტები-ოლიმპი;**

**თსუ ჰიუნდაი-მგზავრები; ბათუმი-დელტა.**

# შედეგები

**5 მარტი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

რეალი-აიაქსი ........ 1:4

დორტმუნდი-ტოტენჰემი ........ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-მონპელიე ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 23 | 2 | 1 | 79-15 | 71 |
| 2.ლილი | 27 | 16 | 6 | 5 | 44-23 | 54 |
| 3.ლიონი | 27 | 14 | 7 | 6 | 45-31 | 49 |
| 4.მარსელი | 27 | 13 | 5 | 9 | 43-35 | 44 |
| 5.სტ.ეტიენი | 27 | 12 | 7 | 8 | 36-33 | 43 |
| 6.რეიმსი | 27 | 10 | 12 | 5 | 29-26 | 42 |
| 7.მონპელიე | 27 | 10 | 11 | 6 | 36-29 | 41 |
| 8.ნიცა | 27 | 11 | 7 | 9 | 20-27 | 40 |
| 9.სტრასბური | 27 | 9 | 10 | 8 | 41-31 | 37 |
| 10.რენი | 26 | 10 | 7 | 9 | 35-34 | 37 |
| 11.ნიმი | 26 | 10 | 6 | 10 | 37-38 | 36 |
| 12.ანჟე | 27 | 8 | 10 | 9 | 31-31 | 34 |
| 13.ბორდო | 27 | 8 | 8 | 11 | 26-29 | 32 |
| 14.ნანტი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 15.ტულუზა | 27 | 6 | 10 | 11 | 26-42 | 28 |
| 16.მონაკო | 27 | 6 | 8 | 13 | 28-43 | 26 |
| 17.ამიენი | 27 | 7 | 4 | 16 | 22-42 | 25 |
| 18.კაენი | 27 | 3 | 11 | 13 | 22-36 | 20 |
| 19.დიჟონი | 26 | 5 | 5 | 16 | 20-40 | 20 |
| 20.გენგამი | 27 | 4 | 7 | 16 | 18-50 | 19 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ტრიუმფალური დასაწყისი სერბეთში

სერბეთში მიმდინარე ევროპის 23 წლამდე ჩემპიონატზე ჭიდაობაში, პირველ საშეჯიბრო დღეს, ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავე ყველა სპორტსმენმა მედალი მოიპოვა.



55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ნუგზარ წურწუმიამ ოქროს მედალი მოიპოვა. ფინალურ შეხვედრაში ჩვენებურმა დიდი უპირატესობით, 9:0 დაამარცხა რუმინელი ფლორინ ტიტა.

ნუგზარ წურწუმიამ აღნიშნული პრიზი ზედიზედ მეორედ მოიგო. მან ტიტული წარმატებით დაიცვა.

წურწუმიას მსგავსად, ევროპის ჩემპიონი ლევან ქავჟარაძე გახდა, რომელიც 63 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მან 23 წლამდე ევროპირველობის ფინალში სომეხი სლავიკ გალსტიანი 10:8 დაამარცხა.

გიორგი ხეცურიანმა (87კგ) რუსეთი სახელით მოასპარეზე გაზი ჰალილოვი 5:1 დაამარცხა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

საქართველოს რიგით მეოთხე ოქროს მედალი პატარიძემ (130კგ) მოუტანა. ქართველმა ფალავანმა ფინალში რუმინელ ისტვან ბერეის პირველი პერიოდი 4:0 მოუგო, მეორე პერიოდში კიდევ ერთი ქულა აართვა და ჩემპიონობა იზეიმა.

ბექა მამუკაშვილი, რომელიც 77 კგ. წონით კატეგორიაში ჭიდაობდა, ბრინჯაოს მფლობელი გახდა. გადამწყვეტ შეხვედრაში მამუკაშვილმა 3:0 აჯობა აზერბაიჯანელ ნასირ ჰასანოვს.

პირველი ფინალური დღის შემდეგ, საქართველოს ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში 115 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს. მეორე ადგილზე რუსეთია (77 ქულა), მესამეზე – თურქეთი (65).

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ფოსტალიონმა, რომელსაც სეფსისი გრიპი ეგონა, ფეხები დაკარგა



ინგლისის დასავლეთ სუსექსის საგრაფოს ქალაქ ხორშემის მკვიდრს, რომელიც ფოსტალიონად მუშაობდა, სეფსისის სიმპტომები გრიპად ჩათვალა და შედეგად ფეხების გარეშე დარჩა.

46 წლის რაიან ნუტლი დილიდან თავს შეუძლოდ გრძნობდა, თუმცა მაინც წავიდა წერილების დასარიგებლად. მან გასავლელი 13 კილომეტრის ნაცვლად მხოლოდ ნახევარი მარშრუტის გავლა მოახერხა, რის შემდეგაც სახლში დაბრუნდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი ექიმთან ვიზიტის გარეშე მოგვარდებოდა, თუმცა თავს სულ უფრო უარესად გრძნობდა. მეორე დილით სახეზე გამონაყარი გაუჩნდა, ფეხებმა კი გაშავება დაიწყო.

ნუტლი თითქმის უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას სეფსისი დაუდგინეს, რომელიც მენინგიტით იყო გამოწვეული. ფოსტალიონმა რვა დღე ხელოვნურ კომაში გაატარა, ხოლო შემდეგ სამი დღის მანძილზე დღე-ღამეში ექვსი საათის განმავლობაში გემოდიალიზი უკეთდებოდა. კიდურებში სისხლის მიმოქცევის დარღვევამ განგრენა გამოიწვია, რის გამოც მას ფეხების ამპუტირება დასჭირდა.

ამპუტაციის შემდეგ ნუტლი წერილების დარიგებას ველარ შეძლებს, თუმცა იმედი აქვს, რომ ფოსტაში მისთვის სხვა საქმე გამოიძებნება.

## მილიარდნახევრიანი ჯეკპოტის მფლობელი გამოჩნდა



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატში გამოჩნდა აშშ-ის ისტორიაში ერთი პიროვნების მიერ მოგებული ყველაზე დიდი ჯეკპოტის მფლობელი. ამ ინფორმაციას ლატარია მეგა მილიონის ვებ-გვერდი ავრცელებს. გამარჯვებულმა, რომელმაც მილიარდნახევარი დოლარი მიიღო, ვინაობის გამხელაზე უარი განაცხადა.

მომგებიანი ბილეთი, რომლის ექვსივე ციფრი ამოსულ ნომრებს დაემთხვა ქალაქ სიმპსონვილის ერთ-ერთ მაღაზიაში 2018 წლის 20-დან 23 ოქტომბრის შუალედში გაიყიდა. თუმცა გამარჯვებული მხოლოდ 4 მარტს გამოცხადდა.

იღბლიანი ბილეთის მფლობელს მოგების განაღდების ორი ვარიანტი ჰქონდა: ან მთელი მოგებული თანხა 1.537 მილიარდი დოლარი 30 წლის განმავლობაში მიეღო, ან ახლავე მიეღო 878 მილიონი დოლარი. გამარჯვებულმა მეორე ვარიანტი ამჯობინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამარჯვებულმა ლატარიის ბილეთის ყიდვის დროს თავისი რიგი სხვას დაუთმო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინა ბილეთი. კეთილშობილურმა საქციელმა კი მას სასწაულებრივი მოგება მოუტანა.

## მძინარე გოგონას ყურში ტარაკანა ჩაუსახლდა



ჩინეთის ცზიანსის პროვინციის ქალაქ ნანიჩანში 17 წლის გოგონას ყურიდან ცოცხალი ტარაკანა ამოუყვანეს.

გოგონამ ექიმს ყურში არასასიამოვნო შეგრძნების გამო მიმართა, რომელიც მას ძილის შემდეგ გაუჩნდა. გასინჯვის დროს ექიმმა ყურში პატარა მწერი აღმოაჩინა.

– ჩვენ დაუყოვნებლივ ამოვუღეთ და ვნახეთ, რომ ის ცოცხალი ტარაკანა იყო, – განაცხადა ერთ-ერთმა ექიმმა.

სპეციალისტი ვარაუდობს, რომ მწერი გოგონას ყურში საკვების ძებნის დროს შეუძვრა, როდესაც მას ეძინა. მისი თქმით, ასე იქცევიან არა მხოლოდ ტარაკნები, არამედ ობობებიც და კოღოებიც. ის ყველას ურჩევს, რომ ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს და ნუ შეეცდებიან ყურიდან მათ თავად ამოყვანას.

## პითონმა მძინარე პენსიონერს ფეხზე უკბინა



ტაილანდის მცხოვრებ ქალბატონს ძილის დროს პითონმა უკბინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოკამერის მიერ გადაღებული ჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი 27 თებერვლის ღამეს ბანგკოკში მოხდა. გველმა 75 წლის კაევ სადსოფის ბინაში მილსადენიდან შეაღწია და ქალს თავს დაესხა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ეპარება ქვეწარმავალი საწოლიდან გადმოკიდებულ მძინარე ქალის ფეხს და შემდეგ კბილებით ჩააფრინდება.

ხანდაზმული ქალი ტკივილმა გააღვიძა და საშველად თავის 44 წლის შვილს ნაკორნს უხმო.

– მეგონა, რომ საშინელი სიზმარი ვნახე. ფეხში მწვავე ტკივილი ვიგრძენი და გამეღვიძა. მივტრიალდი და შევნიშნე, რომ იატაკზე რაღაც დასრიალებდა. ეს გველი იყო, – იხსენებს პენსიონერი ქალბატონი, – არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა მან ჩემთვის ეკბინა, მე ხომ მეძინა და მისთვის საფრთხეს არ წარმოვადგენდი. ახლა უკვე ამ ოთახში ძილის მეშინია.

ნარკონი დედის ოთახში შეიჭრა და გველის დანახვისთანავე სამაშველო სამსახურში დარეკა. ადგილზე მისულმა მაშველებმა პითონი სააბაზანო ოთახში უნიტაზზე დახვეული იპოვეს. მათ გველი დაიჭირეს, ბინიდან გამოყვანის შემდეგ კი სპეციალურ კონტეინერში მოათავსეს. მოგვიანებით კი ბუნებაში გაუშვეს.

## მგზავრმა უმართავი ავტობუსი გააჩერა და მძღოლი გადაარჩინა



ირლანდიის ქალაქ დუბლინში ავტობუსის მძღოლმა გულის შეტევის შედეგად საჭესთან გონება დაკარგა.

სიტუაცია მედდა იფა მაკგვინმა გადაარჩინა, რომელიც სამსახურში მიდიოდა. ის მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ იყო, როდესაც ავტობუსმა შუქნიშნის წითელ ფერზე გაიარა, შემდეგ ველოსიპედისტს დაეჯახა და ისე, რომ სვლა არ შეუნელებია, ველოსიპედს გადაუარა.

ქალი სალონის წინა ნაწილში გადავიდა, მძღოლის კაბინაში შეიხედა და დაინახა, რომ მას გონება ჰქონდა დაკარგული. მან მოახერხა, მძღოლს ფეხი სატერფულიდან აეღებინა, რის შემდეგაც ავტობუსი გაჩერდა. სხვა მგზავრების დახმარებით ქალმა მძღოლი ავტობუსიდან გადმოიყვანა. ამ დროს კი მას გული გაუჩერდა და სუნთქვა შეწყვიტა.

მედდამ გამვლელებს სასწრაფოს გამოძახება სთხოვა, თავად კი მძღოლისთვის ხელოვნური სუნთქვისა და გულის მასაჟის გაკეთებას შეუდგა. შემდეგ ის თავდაპირველად გამვლელმა შეცვალა, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გამოცდილება გააჩნდა, შემდეგ უკვე მას პოლიციელი ჩაენაცვლა. ექიმები შემთხვევის ადგილზე 10 წუთში მივიდნენ და მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მაკგვინის სწრაფი რეაქციის წყალობით, მამაკაცი ცოცხალი გადარჩა და სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება. ველოსიპედისტი, რომელსაც ავტობუსი დაეჯახა, მსუბუქი ტრავმებით გადარჩა.

## პორნომსახიობი კიბიდან ჩამოვარდა და დაიღუპა



მექსიკაში ამერიკელი პორნომსახიობი ბილ ბეილი დაიღუპა, იუწყება ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა.

ბეილი და მისი მეგობარი გოგონა მეხიკოში გამოფენაზე იმყოფებოდნენ. 38 წლის პორნომსახიობი მთელი დღე ალკოჰოლურ სასმელებს იღებდა, საღამოს კი სასტუმროს კიბის მოაჯირიდან გადავარდა და მეოთხე სართულის სიმაღლიდან ჩამოვარდა.

აგენტი რენდი კვინტანა ამტკიცებს, რომ ბეილი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. მისი თქმით, ასეთივე დასკვნამდე მივიდნენ აშშ-ის საელჩოს თანამშრომლებიც, რომლებმაც სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეისწავლეს და შემთხვევის შემსწრე ყველა პიროვნება გამოკითხეს.

აღსანიშნავია, რომ ბეილი 2009 წლიდან დაწყებული 1,7 ათასზე მეტ პორნოფილმში იყო გადაღებული. ასევე ის 2019 წელს წარდგენილი იყო პრემიის ნომინაციაზე, რომელიც „ოსკარის" პორნოგრაფიულ ანალოგად ითვლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 7 მარტისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჯაზის იმპროვიზირებული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. სუსტი არაყი; 5. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში; 7. ლეო დელიბის ბალეტი; 11. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 14. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 15. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული ამგზნები პრეპარატი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 20. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა; 8. ტერიტორია წყალგამყოფ მთებს შორის, სადაც მდინარე მიედინება; 9. ზღვის დიდი ტალღის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 12. კუთხე საქართველოში; 14. ტერორისტ ტერ-პეტროსიანის ფსევდონიმი; 15. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 16. ფრანგი მოდელიერი; 18. ილეთი ჭიდაობაში; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. პირველი ამერიკელი კოსმონავტი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაპიორი; 2. ჩეჭიფეში; 3. გრაფიტი; 5. მარაკანა; 7. ლიქიორი; 9. კონვულსია; 13. ბახტაძე; 15. ალონსო; 16. სიროკო; 18. მღილი.

**თარაზულად:** 4. სალამური; 6. გლეტჩერი; 8. ჩიბურდანიძე; 10. კვირიკე; 11. ნოტა; 12. არმანი; 20. უორდროპი; 21. ალფა; 22. პოსეიდონი; 23. ნიორაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შურთხი; 2. შატლი; 3. რიცი; 5. ფიშერი; 6. ურანი; 7. სიმონია; 11. არაქისი; 14. ლხასა; 15. კუპდარი; 16. ეპილოგი; 17. ბესიკი; 19. ოპელი; 20. მუდო.

**თარაზულად:** 1. შუშპარი; 4. პიაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თელავი; 12. გომბორი; 14. ლოსი; 15. კავკასია; 16. ემალი; 18. როდეო; 21. სოფია; 22. გრადუსი; 23. ლაკმუსი.

## თამთა გოდუაძემ ევროვიზიის სიმღერისთვის კლიპი გადაიღო



ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე წლევანდელ ევროვიზიაზე კვიპროსის სახელით მონაწილეობს.

„რიფლეი“ – გამეორება – ასე ჰქვია თამთას ინგლისურენოვან სიმღერას, რომელზეც მომღერალმა შემოქმედებით ჯგუფთან ერთად კლიპი გადაიღო და ევროვიზიის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე განათავსა.

ქართველი მომღერლის სიმღერას ათასობით ნახვა, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

## „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალი სეზონი 8 მარტიდან დაიწყება




ფორმულა კრეატივის მიერ გადაღებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ მორიგი ახალი სეზონი 8 მარტიდან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში დაიწყება.

რიგით მე-15 სეზონთან დაკავშირებით მაყურებლის უდიდესი ინტერესი შემოქმედებითმა ჯგუფმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და პირველი სერიის ნაწყვეტი ინტერნეტში განათავსა.

როგორც სერიალის ავტორები აცხადებენ, ახალ სეზონზე მაყურებელი ბევრ ახალ სახესთან ერთად, ძველ და კარგად დავიწყებულ პერსონაჟებსაც იხილავს.

## ია შუღლიაშვილის და ბესო მეგრელიშვილის ტანდემი მოზარდ მაყურებელთა თეატრში შედგება



7 მარტს მოზარდ მაყურებელთა თეატრში ცნობილი მსახიობების ბესო მეგრელიშვილის და ია შუღლიაშვილის სამსახიობო ტანდემი შედგება.

წარმოდგენაში ნაჩვენებია ცოლ-ქმრული ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი. ერთ ჭერქვეშ მცხოვრები, ერთ დროს მოსიყვარულე ცოლ-ქმრის ცხოვრება, რომელიც წლებთან ერთად უფერულდება და ყოველდღიურ რუტინად იქცევა. დგება გაუცხოების ეტაპი.

სწორედ აქედან იწყება ყოველდღიური დიალოგები საკუთარ თავთან: როდის და რატომ ჩნდება ცოლ-ქმარს შორის ბზარი, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმავდება? როდის და რატომ კარგავენ ადამიანები ერთმანეთს?

ეს და სხვა მნიშვნელოვანი კითხვები ისმება თანამედროვე ამბავში, სახელწოდებით „სიმარტოვე“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრის უფროსი ასაკის მაყურებლისთვისაა განკუთვნილი.

## ავთო აბესლამიძის სიმღერა თურქეთის ყველაზე დიდ მუსიკალურ დაჯილდოებაზეა წარდგენილი



„იქს ფაქტორის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებულის ავთო აბესლამიძის სიმღერა „მუნლაითი“ (მთვარის შუქი) თურქეთში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მუსიკალურ დაჯილდოებაზეა წარდგენილი.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ჩემი სიმღერა და კლიპი „მუნლაითი“ თურქეთში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მუსიკალურ დაჯილდოებაზე – „გოლდენ პალმ ავარდზეა“ წარდგენილი ნომინაციით „წლის საუკეთესო ჰიტი“.

ძალიან ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, ამ პრიზს საქართველოში ჩამოვიტან.“

## დავით ქემხაძე: „არ ველოდებოდი, ჩემ დოკუმენტურ ფილმს ასეთი გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა“



რეჟისორ დავით ქემხაძის ახალმა ფილმმა მაყურებელში დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ინტერაქტივი“ – ასე ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც ბათუმის დელფინარიუმს და იქ მყოფ დელფინებს მიეძღვნა.

**დავით ქემხაძე:**

– სცენარი მქონდა სახელწოდებით „შავი ზღვა“, რომელიც მის წარმოქმნას და მის ბინადრებს ეხებოდა – ერთუჯრედიანებით დაწყებული, ძუძუმწოვრებით დამთავრებული. ძალიან ძვირი ჯდებოდა ამ ფილმის გადაღება და ამიტომ, სადაც მივედი, ყველგან უარი მივიღე.

პირველმა არხმა გამოაცხადა დოკუმენტური ფილმების კონკურსი. ამ სცენარიდან გამოყავი დელფინების თემა, როგორც ძუძუმწოვრების, და მოვიპოვე დაფინანსება.

***– რით არის ეს თემა საინტერესო?***

– დელფინები არიან საოცარი არსებები, ისინი კურნავენ ყველაფერს – ნერვული აშლილობიდან დაწყებული, აუტიზმით, დაუნის სინდრომით დამთავრებული. ყველას შველიან დელფინები. ეს არის არაჩვეულებრივი თერაპია – კონტაქტი, თამაში, შეხება.

გადაღებების დროს ვნახეთ ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვი, რომელიც ყოველ წელს დადის დელფინებთან ურთიერთობისთვის და ბავშვმა თქვა, ადამიანებზე მეტად დელფინი მიგებსო. დელფინარიუმი თავიდან ბოლომდე გვერდში დამიდგა. საოცარი შემოქმედებითი გუნდი შევიკრიბეთ და ერთიანი მონდომებით ყველაფერი გამოგვივიდა.

***– რა გაიგეთ ახალი დელფინებზე ისეთი, რაც აქამდე არ იცოდით?***

– ხომ ყველამ ვიცით, რომ დელფინები ძალიან ჭკვიანები და მეგობრულები არიან? მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩემი თვალით ვნახე. დელფინები არიან ძალიან საყვარლები და ზე-განათლებულები. დავრწმუნდი, რომ დელფინი ადამიანია, მე კი, სამწუხაროდ, ცხოველი მეგონა. ისინი წყალში მცხოვრები ადამიანები არიან. მთავარია დელფინი გიყვარდეს და ეთამაშო და სასწაულების მომსწრე გახდები. გამორიცხულია საკვებით მოატყუო, ისე, როგორც ძაღლი. თუ გულწრფელად შეიყვარებ, მოეფერები და ეთამაშები, ყველაფერს დაგიჯერებს და გააკეთებს.



***– თუ აპირებთ თქვენი ნამუშევარი უცხოურ კინოფესტივალებზე წარადგინოთ?***

– აუცილებლად, მაგრამ ამისთვის ყველა ის ეტაპი უნდა გავიაროთ, რაც უცხოურ კინოფესტივალებს თავის მოთხოვნებში აქვთ.

***– ელოდით ასეთ გამოხმაურებას?***

– ნამდვილად არ ველოდი, თუ ჩემი დოკუმენტური ფილმი ასეთ გამოხმაურებას მოიპოვებდა. ძალიან გახარებული ვარ, მაყურებელმა ძალიან კარგად მიიღო.

***– თქვენი პროექტი „შავი ზღვა“ თაროზე შემოიდო?***

– არავითარ შემთხვევაში. „შავი ზღვა“ აუცილებლად განხორციელდება. ბევრ კომპანიაში მივედი, მაგრამ უარი მივიღე. მითხრეს, უნივერსიტეტში მიიტანეთ ეს სცენარი და ასოცირებული პროფესორი გახდებითო. მე პროფესორობა კი არა, ფილმის გადაღება მინდა და ჩემს სცენარს აუცილებლად მთლიანად გადავიღებ.

***– რით არის საინტერესო შავი ზღვა?***

– ძალიან ბევრი რამით. დეტალურად მინდა იყოს ამ ფილმში მოთხრობილი შავი ზღვის შესახებ – მისი ისტორიით დაწყებული, იქ მობინადრე არსებებით დამთავრებული. შავ ზღვაში ბინადრობს სელაპი, რომელიც განდეგილია, მარტო ცხოვრება უყვარს, მაგრამ როგორც კი მეთევზეები მისი საცხოვრისის სიახლოვეს სათევზაოდ მივლენ და მუსიკის ხმას გაიგონებს, ზემოთ ამოდის და მუსიკას უსმენს. კიდევ ბევრი საინტერესო რამ არის, რაც ჩემს ფილმში აუცილებლად იქნება.

## ვახტანგ კახიძე იუბილეს კონცერტებით აღნიშნავს



დირიჟორი ვახტანგ კახიძე იუბილეს კონცერტების სერიით აღნიშნავს.

7 მარტს ვახტანგ კახიძის საიუბილეო კონცერტების სერიის ფარგლებში, ჯანსუღ კახიძის სიმღერების საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ანსამბლი „რუსთავი“ და ეკა მამალაძე.

7 მარტი ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების დღეა და ამ თარიღს თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ყოველთვის განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამით აღნიშნავს.

წელს ეს კონცერტი გახსნის ვახტანგ კახიძის საიუბილეო კონცერტების სერიას, რომლითაც იგი პატივს მიაგებს მამის ხსოვნას და წარმოაჩენს თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს.

ამ კონცერტში ვახტანგ კახიძე წარდგება, როგორც დირიჟორი, პიანისტი, მომღერალი და სიმღერების საორკესტრო არანჟირებების ავტორი.

ვახტანგ კახიძის შემოქმედებითი თანამშრომლობა მამასთან, ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც მან დაიწყო მამასთან ერთად სიმღერა და ასევე საფორტეპიანო პარტიის შესრულება სიმღერების აუდიო ჩანაწერების შექმნისას. ეს თანამშრომლობა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა და 1990-იან წლებში ვახტანგმა ჯანსუღის რამდენიმე სიმღერის საორკესტრო არანჟირებაც განახორციელა კონცერტისთვის „პირველად იყო სიმღერა“.

მამის გარდაცვალების შემდეგ, ვახტანგ კახიძე ყოველთვის ცდილობდა მისი სასიმღერო შემოქმედების სრულყოფილად წარმოჩენას და სწორედ ამ მიზნით 2000-იანი წლების დასაწყისში მან გამოსცა ორკომპაქტდისკიანი აუდიო ალბომი, ხოლო 2016 წელს შექმნა ახალი საკონცერტო პროექტი „ჯანსუღ კახიძის სიმღერები“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში და წარმოადგენს ჯანსუღ კახიძის საკომპოზიტორო მემკვიდრეობის საუკეთესო დემონსტრირებას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ბეჰემოთი შეეცადა, ანტილოპას ნუკრი მტაცებლებისგან გადაერჩინა



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ბეჰემოთისა და გიენისებური ძაღლების ხროვის კონფლიქტის შემსწრენი გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის, 57 წლის კეროლინ რიჯუეის აზრით, ბეჰემოთი შეეცადა ანტილოპა კუდუს ნუკრი მტაცებლებისგან გადაერჩინა, თუმცა შემთხვევით წყალში დაახრჩო. შემდეგ მან პატარა ანტილოპა წყლიდან ამოიყვანა და გარკვეული დროის მანძილზე მის ფეხზე დაყენებას ცდილობდა.

– სამწუხარო იყო იმის ყურება, თუ როგორ გულდაწყვეტილი გამოიყურებოდა ეს უზარმაზარი ცხოველი, როდესაც მიხვდა, რომ პატარა კუდუ უკვე მკვდარი იყო და ველარაფრით უშველიდა, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა.

ბეჰემოთს ნაპირზე გიენისებური ძაღლები ელოდებოდნენ და ისინი პატარა ანტილოპას მისთვის წართმევას ცდილობდნენ.

– როდესაც საბოლოოდ ბეჰემოთმა ის ადგილი დატოვა, მტაცებლები მკვდარ ანტილოპას დაესივნენ, ბუჩქებში გადაათრიეს და დაგლიჯეს, – განაცხადა რიჯუეიმ.

### სპილომ ზედამხედველი გასრისა



ინდოეთში სპილომ თავისი ზედამხედველი მოკლა მას შემდეგ, რაც მან ცხოველს დაარტყა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში, რომელიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე კერალის შტატის კოტაიამის ოლქში იქნა გადაღებული, 40 წლის არუნ პანიკარი ცხოველს აბანავებს, რა დროსაც მას გვერდში წვერწამახულ ჯოხს ატაკებს. ამით ის ცდილობს, რომ სპილო აიძულოს ძირს დაწვეს და წყლის ჭავლს ზურგი მიუშვიროს. თუმცა დარტყმა იმდენად ძლიერი გამოუვიდა, რომ ზედამხედველს ფეხი გაუცურდა და პირდაპირ ცხოველის ქვეშ დაეცა, სპილო კი ზევიდან დააწვა.

პანიკარის დახმარებას იმ წამსვე მისი კოლეგა შეეცადა. მან სპილოს ჯოხი რამდენჯერმე დაარტყა, რათა ის ფეხზე წამომდგარიყო, შემდეგ კი კოლეგა გვერდზე გადაათრია, თუმცა მისი დახმარება უკვე შეუძლებელი იყო. მოგვიანებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

### „ყველაზე სევდიანი“ სპილო 43-წლიანი მარტოობის შემდეგ მოკვდა



ესპანეთის ქალაქ კორდობაში მოკვდა ინდური სპილო სახელად ფლავია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ესპანური გამოცემა ავრცელებს.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 47 წლის ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. ის წონას კარგავდა და დეპრესიაში იმყოფებოდა. რამდენიმე დღის წინ ცხოველი წაიქცა და ფეხზე წამოდგომა ველარ შეძლო. ამის შემდეგ ფლავიას დაძინების გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სპილო სამი-ოთხი წლის ასაკის იყო, როდესაც ის დაიჭირეს. ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მან ზოოპარკში გაატარა. 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სპილო მარტოობაში ცხოვრობდა და სხვა სპილოებთან ურთიერთობა არ ჰქონია. ცხოველთა დამცველებმა მას „მსოფლიოში ყველაზე სევდიანი სპილო“ შეარქვეს.

აღსანიშნავია, რომ ინდური სპილოები ველურ ბუნებაში 60 წლამდე ცოცხლობენ, ხოლო ტყვეობაში მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 80 წელს აღწევს.

### კლეპტომანი კატა ფულს იპარავდა და პატრონთან მიჰქონდა



დიდ ბრიტანეთში კატამ, სახელად თეომ, მერძევეს ფული მოპარა და სახლში მიიტანა.

რვა წლის ცხოველმა მეზობლის სახლთან სეირნობის დროს მერძევისთვის განკუთვნილი ფულის შეკვრა აიღო და სახლში წააცუნცულა. კატის პატრონმა შეკვრაში ფულის გარდა აღმოაჩინა წერილი, რომელზეც მისი მფლობელის ვინაობა და მისამართი ეწერა. ფული მის მფლობელს დაუბრუნდა.

– ყმაწვილმა გაიღიმა, ფული გამომართვა და ისე იქცეოდა, თითქოს ასეთი რამ მუდმივად ხდებოდა, – განაცხადა ცხოველის პატრონმა მის დრუზმა.

აღსანიშნავია, რომ კატა თეო უკვე წლებია მას მედიის ქრონიკების გმირი ხდება. მაგალითად, 2015 წელს მან მეზობლებს რბილი სათამაშოების მთელი კოლექცია მოპარა. მანმადე კი ის საშობაო სამკაულების ქურდობაში ამხილეს.

მისმა პატრონმა რამდენჯერმე გამოაკრა ფურცლები, რომელშიც გარშემო მცხოვრებთ აფრთხილებდა თავისი კლეპტომანი კატის თაობაზე და სთხოვდა, რაიმე ნივთის მოულოდნელად დაკარგვის შემთხვევაში, მას დაკავშირებოდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.6749
- ევრო — 3.0296
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5226
- 100 რუსული რუბლი — 4.0650

## ამინდის პროგნოზი 7 მარტისთვის





„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“




26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან

შოდერლო დე ლაკლო

სახიფათო კავშირები



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## მონადირე ქალს სისხლიანი ხელების დემონსტრირებისთვის პრობლემები შეექმნა



ამერიკელ ქალს სოციალურ ქსელებში განთავსებული ფოტოსურათების წაშლა მოუხდა იმ მუქარების შემდეგ, რომელიც ნადირობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალების გამოქვეყნებას მოჰყვა.

2018 წლის დეკემბერში კოლორადოში გადაღებულ კადრებში 28 წლის ფრანჩესკა ესპლინი ნანადირევით პოზირებს. ერთ-ერთ ფოტოზე კი ის ამაყად უჩვენებს მის მიერ მოკლული ცხოველის სისხლში ამოსვრილ ხელებს. ქალმა ფოტოსურათები ფეისბუქში განათავსა და დაწერა: „ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ. ახლა უკვე მესმის, თუ საიდან მოდის ნადირობით გატაცება“. მისი თქმით, ის დიდი ხანია პუმას მოკვლაზე ოცნებობდა.

ფოტოები ბუნების დაცვის ერთ-ერთი ორგანიზაციის აქტივისტებმაც ნახეს. მათ მისი სკრინშოტი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსეს და კომენტარი დაურთეს: „აი იმ ადამიანების აზროვნება, რომლებიც ცხოველებს გასართობად ხოცავენ. შეგიძლიათ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ბუნების ასეთი ძარცვა ნებადართულია და შტატის კანონების სრული მხარდაჭერითაა უზრუნველყოფილი. ჩვენი ვალია ბოლო მოვუღოთ გართობის მიზნით ამ საშინელ მკვლელობებს“. ორგანიზაციამ საკუთარ მომხრეებს მოუწოდა, ხელი მოაწერონ პეტიციას, რომელიც კოლორადოში კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლების დახოცვის აკრძალვას მოითხოვს.

აღნიშნული შემთხვევით ადგილობრივი მას მედიაც დაინტერესდა. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ფრანჩესკა ესპლინმა განაცხადა, რომ ნადირობა სრულიად კანონიერი იყო. მისი თქმით, მათ პუმას მოკვლის ლიცენზია ჰქონდათ აღებული. მან ასევე განაცხადა, რომ ის სისტემატურად იღებდა მუქარის შემცველ შეტყობინებებს და იძულებული გახდა, ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში წაეშალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ლელა, როგორ ამოიყვანე დიდი ცხიმის ლაქა შენი დივანიდან?

– გავეყარე.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, თვალები მაწუხებს, მგონი გამიცივდა.

– სხვა ქალებს კაბის ქვეშ რომ მისჩერებიხარ. იმის ბრალია!

– რა, ორპირი ქარია?

•••

ხელისუფლების ერთი წარმომადგენელი მეორეს ეუბნება:

– სპეციალისტები ამბობენ, რომ მოსახლეობას ხელფასი ეზრდება.

– ხალხი კი ამტკიცებს, რომ არა.

– კი მაგრამ, ეგენი ხომ სპეციალისტები არ არიან...

•••

მამაკაცი მაღაზიაში ფეხსაცმლის განყოფილებაში გამყიდველს ეკითხება:

– უკაცრავად, ნიანგის ჩექმები გაქვთ?

– რა თქმა უნდა და რა ზომა ფეხი აქვს თქვენ ნიანგს?

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს ქმარს ვურეკავ და ვეკითხები: „გიყვარვარ ძვირფასო?“

– მერე, რა გიპასუხა?

– იყიდე! აი ესაა ნამდვილი ცოლქმრული ურთიერთგაგება.

•••

ქმარი გვიან ღამით სახლში ნასვამი ბრუნდება. ცოლი კი უყვირის და თითით საათზე მიუთითებს.

ქმარი:

– რას მიმითითებ საათზე? იდეალური მეუღლე გყავარ!

– რაა?

– რა და დედაჩემი მამაჩემს ცხვირწინ კალენდარს უფრიალებდა!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, ერთი ის მავთული მომაწოდე, ძირს, რომ აგდია.

ცოლი დაიხრება და მავთულს აიღებს. ქმარი ეუბნება:

– კარგი დადევი, დენი მეორე მავთულში ყოფილა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტონი კროოსი: „ზედიზედ სამჯერ ჩემპიონთა ლიგას ვერავინ მოიგებს“




მადრიდის რეალი საკუთარ მოედანზე აიაქსთან 1:4 დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. რეალის გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ სამეფო კლუბი ამჟამად კრიზისშია, თუმცა მის მიღწევებს მაინც ვერავინ გაიმეორებს.

– სამწუხაროა, რომ წელს ვერაფერს მოვიგებთ, მაგრამ ჩვენი კრიტიკა გადამეტებულია, რადგან ხალხს წარსული ავიწყდება. ჩვენ ზედიზედ სამჯერ გავიმარჯვეთ ჩემპიონთა ლიგაში და ამ შედეგს ვერავინ გაიმეორებს. მომავალ სეზონში უფრო მოტივირებულები ვიქნებით, – განაცხადა კროოსმა.

## სუარესმა აიაქსს რეალთან გამარჯვება მიულოცა



ბარსელონას ფორვარდმა ლუის სუარესმა აიაქსს რეალის დამარცხება ტვიტერის საშუალებით მიულოცა.

სუარესმა ტვიტერზე დაწერა, რომ მას ძალიან უხარია აიაქსის წარმატება და ის ყოველთვის აიაქსის ფანი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ლუის სუარესი 2007-11 წლებში სწორედ აიაქსის ღირსებას იცავდა და ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

სუარესმა აიაქსი 2011 წლის იანვარში დატოვა.

## ვინიციუს ჯუნიორი თვეზე მეტს გამოტოვებს



მადრიდის რეალის ახალგაზრდა ბრაზილიელმა ფორვარდმა ვინიციუს ჯუნიორმა აიაქსთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოედანი პირველივე ტაიმში დატოვა.

ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ვინიციუსს მუხლი აქვს დაზიანებული, რის გამოც მას თვეზე მეტი მოუწევს მკურნალობა.

ბრაზილიელისთვის ეს ტრავმა ძალიან დასანანია, რადგან ის კარგ ფორმაში იყო და ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებაც დაიმსახურა.

მისი დებიუტი ნაკრებში ტრავმის გამო არ შედგება.

## კრიშტიანო რონალდუმ რეალი გაამხნევა




რეალის ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამ საფეხბურთო სამყაროში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ბევრი ფეხბურთელი გამოეხმაურა ამ მოვლენას. ერთ-ერთი მათგანი კრიშტიანო რონალდუც იყო, რომელმაც თქვა, რომ რეალი ისევ დაბრუნდება დიდების მწვერვალზე.



– ფეხბურთში მუდმივი არაფერია და ოდესღაც რეალის დომინაციაც უნდა დასრულებულიყო, თუმცა მან საკმაოდ მძიმე მარცხი განიცადა. დარწმუნებული ვარ, რეალი ისევ დაბრუნდება და ახალ გამარჯვებებს მიაღწევს, – განაცხადა რონალდუმ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი, მისიონერი, მუსიკათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. უტიფარი, მოურიდებელი, ურცხვი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 15. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავი შამფურებიანი ელექტროღუმელი.

**თარაზულად:** 4. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 6. იტალიელი არქიტექტორი, მშრალი ხიდის პროექტის ავტორი; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. ძველებური ქართული ბასრწვერიანი, სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. ცხარე საწებელი; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 19. ქეიფი, დროსტარება; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ჯიხვების ჯოგი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. პატარა სამკუთხა ალამი.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*